# დროება

№ 37 ოთხშაბათი, 17 თებერვალი 1910 წ. № 37

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამელდიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაღამის 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მესკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ხასიათი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ტელეფონი № 40.

რედაქციის აირესი: ტფილისი, დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყოველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წარმოდგენა № 36. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 36.

ხუთშაბათს, 18 თებერვალს, 1910 წელს

**ბენეფისი ი. ფ. ზარდალიშვილისა**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ბ. დოსტოევსკის

**დანაშაული და სასჯელი**

დრამა 5 მოქმედებად და 8 სურ. შ. დადიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, გ. მდთაძე; ბ-ნნი ვ. ანდრონიკაშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, იმნელი, მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ქიქიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

21 თებერვალს ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა წარმ. იქ. „შავი ბერი“.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

**სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი**

**ქუთაისში**

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—7)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლეპი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—111)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—273)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის მესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—17

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—369)

**ექიმი გ. მაგაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიზეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—98)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—61

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი**

**ქუთაისში,**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—19)

**ექიმი შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—27)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყდრღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—102)

**ექიმი ვასილ წერეთელი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—118)

**ექიმი** კბილი ა **რომანიშვილი დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—18)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ბაბ. **ი. გოკიელოვი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—4)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—24)

**ვკისრულობ დაცვას**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრების განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას სახელდ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოში ბინა N 4. (წ.—ნ.—38)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**კალ მქართვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—ნ.—8)

**გამგეობა**

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ წევრთა მორიგი ჩვეულებრივი საზოგადო წლიური კრება დანიშნულია კვირას, 7 მარტს, დილის 9 საათისთვის ბანკისავე შენობაში.

უმთავრესი განსახილველი საგნები:

1. 1909 წლის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. ამა 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება;
3. მოხსენება: საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
4. არჩევა საბჭოს ორის წევრისა, ნაცვლად ს. გაჩეჩილაძის და ბ. კელენჯერიძისა და აგრეთვე გამგეობის ერთის წევრის, ნაცვლად ტ. ნიორაძისა. (3—ნ.—1)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის ყოველ-კვირეულ სურათებიან სამხატვრო-სალიტერატურო, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ოსურ ჟურნალ

**„ავსირ“-ზე**

**ხელის მოწერის პირობები:**

| | 1 წლით. | 1/2 წლით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| **გაუგზა-ვნელად** | 5 მ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |
| **გაგზავნით** | 6 მ. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. |

ჟურნალში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან **ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის** საუკეთესო ლიტერატურული ძალები. ჟურნალის 1-ლი ნომერი გამოვა 14 თებერვალს.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია ტფილისში, მატინოვის ქ. N 5.

რედაქტორ-გამომცემელი **არ. კოცოევი.** (3—3)


## ტფილისი, 17 თებერვალი

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წლიურ კრებაზე ატეხილი კამათი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ ოპოზიციამ გაზეთის ფურცლებზე გადაიტანა და კარგა ხნის განმავლობაში ჩვეულებრივის ენერგიით ებრძოდა მოწინააღმდეგეთ. ამ კამათმა და ბრძოლამ, სამწუხაროდ, ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მოწინააღმდეგეთ სრულიად დაუკარგა ხალისი პასუხის გაცემისა. ნაცვლად საკითხის სერიოზულად გამორკვევისა, ოპოზიციის მესვეურებმა დაიწყეს ვარჯიშობა შეუწყნარებელ დემაგოგობაში. ყველა ჯურის ნაციონალისტები შეერთდნენ, რათა ხალხი გააძევონ წ.-კ. საზოგადოებიდან; ცრუ პროგრესისტებს ნიღაბი ჩამოეხსნათ და რეაქციონური ფიზიონომია გამოუჩნდათ; ოდესღაც დემოკრატებმა წიხლი ჰკრეს თავის წარსულს და ხალხის მტრებად გადაიქცნენო და სხვა ამგვარ ფრაზებით აჭრელდა გაზეთ „მომავლის“ ფურცლები. ჩვენ დავჩუმდით, რადგან, ჩვენის აზრით, ასეთ სფეროში პოლემიკის გადატანას არავითარი აზრი არა აქვს და ვნების მეტი ჩვენის ხალხის თვითცნობიერების გაძლიერების საქმეში არაფერი არ მოაქვს.

ჩვენი პოზიცია ამ საკითხში გარკვეული და ცხადი იყო, მაგრამ მოწინააღმდეგებმა განზრახ, თავის სადემაგოგიო მიზნებისათვის, ეჭვი შეიტანეს ჩვენს გულწრფელობაში და თავისებურად მოგვდგნენ. ჩვენ ვეუბნებოდით—არა ვართ წინააღმდეგნი „საზოგადოების“ გადემოკრატებისა, მხოლოდ ვიწვევდით ოპოზიციას—გარშემო მიმოეხედნა, არსებულ პირობათა და გარემოებისათვის თვალი დაეკრა და ამის მიხედვით გაესაჯა საკითხი. ამის მაგიერ ოპოზიციის მეთაურებმა ამჯობინეს დემაგოგიურ ქნარის მომართვა. რამდენად სახეიროა ასეთი ფანდი დღევანდელს პირობებში, როცა ხალხს, სწორედ მშრომელ ხალხს, სჭირია დინჯი და სერიოზული გათვალისწინება სინამდვილისა, ამის გადაწყვეტა ჩვენ მოწინააღმდეგეთათვის მიგვინდვია. ჩვენ კი საქმეს დავუბრუნდეთ.

ვიმეორებთ, ჩვენი პოზიცია ამ საკითხში ნათელია. „ცნობის ფურცლიდან“ დაწყებული „დროებამდე“ ერთსა და იმას ვიმეორებთ: ყველა ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებას გადემოკრატება სჭირია. უამისოდ ხსნა არ არის. ჩვენი არისტოკრატია გადაგვარდა სრულებით და ჩვენი აღარაფერი სწამს. ჩვენი ბურჟუაზია უძლურია და ევროპის ბურჟუაზიასავით კულტურის გაძლიერების საქმეს სათავეში ვერ მოექცევა. ჩვენი ერი საერთოდ ღარიბია და ამის მიხედვით მთელი მისი საზოგადოებრივი ცხოვრება დემოკრატიულს საფუძვლებზე უნდა აშენდესო... მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ჩვენ ხელთ როდია ცხოვრების ასეთ რეორგანიზაციის მოხდენა, და სწორედ ამის გაგება არა სურთ ჩვენ მოპირდაპირეთ...

1907 წელს, როცა კიდევ იყო იმედი რუსეთის ცხოვრების განახლებისა, ჩვენ თითონ გავურკვიეთ წ.-კ. საზოგადოების კრებას გადემოკრატების გზა და ჩვენმა თანამოაზრე გამგეობის უმრავლესობამ კიდეც იკისრა განხორციელება ჩვენის გეგმისა. განზრახული იყო საწევრო გადასახადის მანეთამდე დაკლება, ადგილობრივ განყოფილებათა გახსნა, მათი ავტონომია და ბოლოს მთელის „საზოგადოების“ დემოკრატიული ფედერაცია საზოგადო კრების წარმომადგენლობითი სისტემაზე მოწყობით. ჩვენის წარმოდგენით, ეს იყო და არის დღესაც საუმჯობესო გზა „საზოგადოების“ გადემოკრატებისა და იმის კარების ფართო გაღებისა მასსისათვის. ამის ნაცვლად, 1908 წლის საზოგადო კრებაზე გამგეობამ და საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ მოგვახსენეს: უდროოდ მიგვაჩნია რეფორმის მოხდენაო და არც ჩვენ და, თუ არა ვსცდებით, არც ვისმეს ამის წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია. გავჩუმდით, რადგან კარგად ვხედავდით, როგორი ultima ratio ელაპარაკებდა გამგეობას. სწორედ იმ დროს დაიკეტა პოლონეთის „მატიცა“—დაახლოვებით იმავ პრინციპებზე აგებული, დაიხურა რამდენიმე განმანათლებელი საზოგადოება არა თუ განაპირა ქვეყნებში, არამედ შიდა რუსეთშიაც. საზოგადოდ, დადგა სუსხიანი ზამთარი, რომლის მოახლოვება ჩვენმა „საზოგადოებამაც“ იგრძნო ათას წვრიმალში, რომელიც იციან იმათ, ვინც ახლო სდგანან ჩვენი „მატიცას“ ყოველდღიურ ცხოვრებასთან. წვრიმალ ნიშნებს და სიმპტომებს მალე მსხვილნიც მოჰყვნენ: აჭარის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში სკოლის დაარსების ნება არ მისცეს, რადგან იქ „სამინისტრო სკოლა იქნება დარსებულიო“, საზოგადოების სკოლების მასწავლებელთა კრების ნება არ მისცეს—პეტაგოგიურ-სამეცხიერო საგნისათვის განზრახულისა; სოფელ გიორგი-წმინდაში რუსულ საკვირაო სკოლის გამართვის ნება მისცეს და სხვა და სხვა. ყოველი წრიმალი და თვალსაჩინო ფაქტი მთელი დღევანდელი ურთიერთობა „საზოგადოებასთან,“ დამამცირებელი და დამცინველი მოპყრობა ცხადად ნიშნავს ჯერ ფარულ ომის გამოცხადებას და შემდეგში ახლილად იერიშის მოტანას.

ასეთ სინამდვილის გათვალისწინება, ასეთ „გარეშე გარემოებათა“ აწონდაწონვა არ მოისურვეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა და წინანდებურად იაფ-ფასიან დემაგოგობას მიჰმართეს. ჩვენი სიტყვა; რომ დღევანდელ პირობებში საშიშია ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გარშემო აურ-ზაურის ატეხა, რომ სახიფათოა წინად, უკეთეს დროში განზრახულ რეფორმის მოხდენა დღეს,—ეს ჩვენი სიტყვა ხალხის დევნის სურვილად მონათლეს და გული იჯერეს ჩვენის რეაქციონორობისა და ანტიდემოკრატიულ მისწრაფებათა განქიქება-გინებით. მაგრამ ბრძოლა ცალმხრივი დაურჩათ, რადგან ჩვენ ხმას არა ვცემდით და არც დღეს ჩამოვაგდებდით ამაზე ლაპარაკს, რომ გამოფხიზლების ერთი ნიშანი არ დაგვეტყო ჩვენს მოპირდაპირეთა ბანაკში. სახეში გვაქვს „ახალ სხივის“-ს კვირის ნომერში მოთავსებული „პატარა საუბარი“ ბ-ნ წინწკალისა. ჩვენ არ ვიცით—შემდეგშიაც შეირჩენს ბ-ნი წინწკალი ამ კილოსა და ხასიათს თუ არა, არც ის ვიცით—გაჰყვებიან მას თუ არა მისი თანამოაზრენი, მაგრამ ის-კი დაბეჯითებით ვიცით, რომ მხოლოდ **ასეთ** პოლემიკას და **ასეთ** მსჯელობას შეუძლია სიმართლის გამორკვევა და საქმის შველა...

ბ-ნ წინწკალს „სწორ ხაზიან“ რადიკალიზმის ლოღიკა არ იტაცებს და იგი პირდაპირ სწერს იქ „მაგრამ“-ს, საიდანაც უნდა დაწყებულიყო გულწრფელი კამათი და შესაფერისი მსჯელობა. „სავალალოთ, ამბობს იგი, ჩვენ მოკლებული ვართ ნორმალურ პირობებს. წ.-კ. საზოგადოების დემოკრატიზაცია ჰკუაში არ დაუჯდებათ იმათ, „ვისაც ჯერ არს“; ისინი ალბათ, სიკვდილის ცელით მოევლინებიან მას თავზეო“... ბ-ს წინწკალს კარგად ესმის, სად არის ტრაგიზმი ჩვენის ცხოვრებისა ანუ, უკეთ ვთქვათ, ჩვენის მდგომარეობისა ამ საკითხში: „ჩვენი ერთად-ერთი საზოგადოება (წ.-კ.-ს.) ვერ ბოგინობს და ვერც იბოგინებს უდემოკრატიზაციოთ, ხოლო დემოკრატიზაცია თვალწინ გვიელვარებს სიკვდილის ცელს“. ავტორმა არა მარტო გამჭრიახობა გამოიჩინა, პირდაპირ წინასწარმეტყველობის ნიჭიც დაგვიმტკიცა: იმავ დღეს, როცა ზემოხსენებული სიტყვები დასწერა, პეტერბურგის გაზეთებმა მოგვიტანეს სტოლიპინის ღირსშესანიშნავი ცირკულიარი, რომელმაც „სიკვდილის ცელი“ პირდაპირ თვალებში შემოგვანათა. შინაგან საქმეთა მინისტრი და დღევანდელ მთავრობის პოლიტიკის მმართველი გუბერნატორებს სწერს: ბოლო დროს არა რუსთა შორის გაჩნდნენ სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი და ფრთხილად იყავითო; ეს საზოგადოებანი არა-რუსთა ეროვნულ განცალკევებას ხელს უწყობენ და ამიტომ სახელმწიფოსთვის საშიშნი არიანო; ნულარ დართობთ ნებას ასეთ საზოგადოებათა დაარსებისას და უკვე არსებულთა დახურვის ნებას გაძლევთო. წაიკითხეთ ეს ისტორიული ცირკულიარი და გვითხარით: არის თუ არა საფრთხე იქ, სადაც ჩვენ გვითითებდით გუშინ და რაზედაც დღეს ბ-ნი წინწკალი სწერს?. მართალა სიფრთხილე გვმართებს, თუ დემაგოგიურ ფანდების ხმარება, რომელთაც არა ერთი და ორი შეცდომა ჩაგვადენიეს ახლო წარსულში?..

სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ წინწკალს, რომ საკითხის ამ მხარეს უნდა მიექცეს პრესსის განსაკუთრებული ყურადღება, რომ საჭიროა „თავი დავანებოთ მოჯადოვებულ წრეს“, მაგრამ დღეს სიტყვა გაგვიგრძელდა და გავათავოთ, მით უმეტეს, რომ ჯერ გვსურს იმათი სიტყვა მოვისმინოთ, იმათი პასუხი გავიგოთ ბ-ნ წინწკალის მოწოდებაზე, ვისაც „ყოველ მიზეზის გარეშე“ შესაძლებლად მიაჩნია წერა-კითხვის საზოგადოების დემოკრატიზაცია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ „ზაკავ.“-ნ ბ-ნ აბისელის წერილი „ნოვ. რეჩის“ თანამშრომლის ბ-ნ დოდაშვილის შესახებ. ბ-ნი აბისელი სწერდა—დოდაშვილი ფულის გაფლანგვისათვის სამსახურიდან გამოაგდესო. ეხლა ამის შესახებ გუშინდელ „ნოვაია რეჩ“-ში დაბეჭდილია თვით რედაქციის შემდეგი წერილი.

იმ ბრალდების გამო, რომელიც წარმოუდგინა აბისელმა გაზეთ „ნოვაია რეჩ“-ის თანამშრომელს ბ-ნ დოდაშვილს, რედაქციის კოლექტივმა ორი თავისი წევრი გაჰგზავნა ტფ. სათავადაზნაურო ბანკში საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევად და ბრალდების სამართლიანობის შესამოწმებლად.

ბანკის საქმეებში არ აღმოჩნდა არავითარი საბუთი, გარდა, თვით ბ-ნ დოდაშვილის განცხადებისა, სადაც იგი აღწერდა 1905 წ. შეიარაღებულ თავდამსხმელთაგან თავის გაცარცვის ამბავს, და სთხოვდა ბანკს დაენიშნა გამოძიება, დასარწმუნებლად იმისა, რომ იგი, დოდაშვილი, უდანაშაულოა. თუმცა დოდაშვილი გასცარცვეს, მაგრამ მან წაღებულ ფულის ერთი ნაწილი მაშინვე წარადგინა ბანკში, ხოლო მცირე თანხაზე თამასუქი მისცა.

არავითარ ქურდობაზე და ფულის გაფლანგვაზე არ შეიძლება ლაპარაკი იმ საბუთების მიხედვით, რაც მოიპოვება. როგორც გამოირკვა, ბ-ნ აბისელს ბრალდების დაბეჭდამდე ცნობების შეკრებას შესდგომია ბანკში და უსარგებლნია დოდაშვილის ხსენებულ განცხადებით, რომლითაც მხოლოდ მტერს შეუძლიან ბრალი დასდოს მოწინააღმდეგეს.

სარედაქციო კოლექტივმა გამოარკვია საქმის ნამდვილი ვითარება და დაადგინა: 1. მიეცეს წინადადება ბ-ნ დოდაშვილს პასუხის გზაში მისცეს ბ-ნი აბისელი ცილის წამებისათვის და 2. ეთხოვოს მასვე კვლავ განაგრძოს გაზეთში მუშაობა, რომელიც შეწყვეტილ იქნა ბრალდების გამოქვეყნების შემდეგ.

ეჭვი არ არის, ბ-ნი აბისელი პასუხს გასცემს „ნოვაია რეჩის“ რედაქციას.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**ბიუჯეტი.**

15 თებერვლის სხდომაზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა ბიუჯეტის შესახებ.

**მიაგკი** (მემარცხენე). უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ფულისა ხმარდება უსარგებლო საქმეს და არა ხალხის საჭიროებას. მეოთხედი ბიუჯეტისა ეძლევა სამხედრო და საზღვაო სამინისტროებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, რუსეთი იმდენად უძლურია, რომ პატარა სახელმწიფოებსაც კი ვერ გამკლავებია. პენსიებზე იხარჯება 107 მილიონი, მაგრამ აქედან მხოლოდ 10 მილიონი ეძლევათ ომში დაჭრილებს და დასახიჩრებულებს, დანარჩენი მოხელეებს უნდებათ. 36 მილიონი სამღვდელოებისათვის არის გადადებული,

მაგრამ სამღვდელოება მაინც ხალხს აწევს კისერზე. სახალხო განათლებას ხმარდება 76 მილიონი, ხოლო პოლიციას—100 მილიონი და ეს იმ დროს, როცა ხალხი უვიცობაში იფლობა. რუსეთს კეთილსა და ნაყოფიერ გზაზე გამოიყვანს მხოლოდ ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, დაამთავრა ორატორმა (ტაში მარცხნივ).

**ეპისკოპოსი მიტროფანე** (მემარჯვენე). სასკოლო საქმეზე ეხლა მეტი იხარჯება, ვიდრე წინად და ეს სასიხარულო მოვლენაა. სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული სამრევლო - საეკლესიო სკოლებს. სამღვდელოებას ხალხის განათლება უნდა, მაგრამ შეძლება არა აქვს. დაეცა ხალხში ზნეობა. საჭიროა ამ ჭირს მოუვლოს. მართალია, შარშან არყის სმა შესუსტდა რუსეთში, მაგრამ ეს შედეგი იყო უსახსრობისა.

**შინგარიოვი** (კადეტი). ამ ორატორს 2 ნახ. საათი ულაპარაკნია და დაწვრილებით განუხილავს როგორც ბიუჯეტი, ისე მასთან დაკავშირებული სხვა და სხვა საკითხი. მან, სხვათა შორის, სთქვა: საზოგადო კამათის დროს უნდა გამოვარკვიოთ, რა კავშირია სახელმწიფო ფინანსებსა და საზოგადო მართვა-გამგეობის შორის, ფინანსთა მინისტრმა სთქვა, მოსალოდნელი ხარჯი ახალი გადასახადებით უნდა დაიფაროსო, მაგრამ ძალიან მცირე ფულს იძლევა ის შემოსავალი, რომელიც შემოღებულია ადმინისტრატიულის გზით, მაგალითად, რკინის გზაზე სამგზავრო ტარიფის გადიდება და სხვა. ტარიფისაგან მოელოდნენ 8 მილიონს, შემოვიდა კი სამნახევარი მილიონი. სახალხო განათლებისთვისაც არაფერი გაკეთებულა. რუსეთი ძალიან ჩამორჩა ამ საქმეში სხვა სახელმწიფოებს. ჩვენში სულზე სულ სამი აბაზი იხარჯება, სხვაგან კი მანეთები. არაფერი იხარჯება ადგილობრივ კულტურულ საჭიროებებზე, რომელიც ძარღვია მთელ ქვეყნისა. 40 წელიწადია არსებობს ერობა და დღემდე ვერ მოაწყო მთავრობამ ერობებისათვის ხეირიანი კრედიტი სახელმწიფო მეურნეობის წარმოებაში არავითარი სისტემა არ არის. ხაზინასა და კანტროლს დღემდე ვერ გამოურკვევიათ რკინის გზის შემოსავალი. მათ ანგარიშებში (ათი წლისა) 400 მილიონი განსხვავებაა. სატყეო საქმისთვის საკმაოა 68 მილიონი, იხარჯება კი ნახევარი მილიონი. ამავე მდგომარეობაშია ნავთისა, საზღვაო და სამხედრო საქმეები. მოაწყეს ციხეები, დახარჯეს ამაზე 35 მილიონი, ეხლა კი ეს ციხეები უნდა დააქციონ. ხაზინის ქურდობა არ ისპობა. ნიშნავენ რევიზიებს, მაგრამ მთავრობა გზასა და დასასრულს არ აძლევს ამ რევიზიებს. მოსავალი კარგი იყო, მაგრამ რკინის გზებს პური ვერ გადაჰქონდათ. სადგურებზე პურს ალარც კი იღებდნენ გასაგზავნად. მთავრობამ, დაიტყო რა, რომ კარგი მოსავალი იქნებაო, მოუჭირა მუხრუჭი და რაც რამ გადასახადი იყო, სულ მოკრიფა. შემოდგომაზე ძველი პურის გარდა გლეხებს გააყიდვინეს 100 მილ. ფუთზე მეტი ახალი პური. ერთად-ერთი ნუგეში რუსეთის ცხოვრებაში ის არის, რომ სოფლად ეხლა ბევრ სასოფლო-სამეურნეო იარაღს იწერენ საზღვარ გარეთიდან, მაგრამ მთავრობამ უკვე ლაპარაკი ჩამოაგდო ამ იარაღზე ბაჟის დადებაზე. სათათბირო შევიწროვებულია. მას არაფერი უფლება არა აქვს. მთავრობა სახელმწიფო კანტროლის ანგარიშსაც კი არ უდგენს სრულიად სათათბიროს. საზოგადო პოლიტიკაში მთავრობა უდიერად იქცევა და სდევნის ფინლიანდიას და პოლონეთს, ჰკეტავს მაჰმადიანების სკოლებს. სანამ 17 ოქტომბრის მანიფესტი დახშული იქნება, მანამ რუსეთში სიბნელე არ გაიფანტება.

**ნეკრასოვი** შეეხო ციმბირის საჭიროებებს.

**გრაფმა ბობრინსკი 2-მ** შურს მიაწერა მემარცხენეების კრიტიკა. შეშურდათ, რომ უდეფიციტო ბიუჯეტია და სცდილობენ, ამ ფაქტის მნიშვნელობა გააქარწყლონო.

**ფინანსთა მინისტრმაც** ილაპარაკა. მან უმთავრესად შინგარევს გასცა პასუხი. ეს სიტყვა თვალ-საჩინოს არაფერს შეიცავდა. მინისტრმა ისიცა სთქვა, რომ უსისტემობას ტყუილად გვისაყვედურებენო. ჩვენ მტკიცე სისტემას ვადგივართ: ჩვენა ვცდილობთ ჩვენის ძლიერების განმტკიცებას, სახალხო სკოლის გამაგრებას და მეურნეობის ამაღლებასო.

ილაპარაკა მემარჯვენე ბერეზოვსკი მეორემაც.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 თებერვალი.

## საზღვარ-გარედ.

**სალონიკი**. სტრუმიცის მიდამოებში ოსმალეთის ჯარს შეტაკება მოუვიდა ბოლგარელ რაზმებთან. მოჰკლეს სამი, დააპატიმრეს სამი ბოლგარელი რაზმელი.

**სტამბოლი**. კრება ჰქონდა „ერთობა და პროგრესსის“ ფრაქციას. კრებაში მონაწილეობას იღებდა 150 დეპუტატი. კრებამ აირჩია წინანდელი ბიურო. ბიუროს თავმჯდომარედ ხალილ-ბეი. დეპუტატთა პალატაში უმრავლესობა ისევ ახალგაზრდა ოსმალთა ხელშია.

**ბომბეი**. დაიწვა ზეთის და პურის საწყობები. ზარალი 1,330,000 ფუნტი.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს დარჟილინგიდან ატყობინებენ: დალაი-ლამას განზრახული არა აქვს დახმარება სთხოვოს ინდოეთის მთავრობას. დალაი-ლამა ინდოეთში გზად მოხდა. იგი წეკანში მიდის, სადაც ჩინეთის მთავრობასთან საჩივარს აღძრავს. დილაი-ლამამ ინდოეთის გზა მიტომ აირჩია, რომ ამ გზით უფრო მალე ჩავა პეკინში.

**ვალლასი**. (ალდახოს შტატი). 14 თებერვალს ზვავის ქვეშ მოჰყვა 75 კაცი.

**პარიზი**. „მატენს“ ტულონიდან ატყობინებენ: საზღვაო იჯარების საქმის გამოძიების დროს ბოროტმოქმედება აღმოაჩინეს. გამოირკვა, რომ ტულონში მოქმედებდა მთელ საფრანგეთში გავრცელებული შუამავალთა ბიურო, რომელიც მოიჯარადრეებს ქრთამს ართმევდა და ამით უმსუბუქებდა იჯარის ჩაბარებას და საზღვაო უწყებისგან დადებულ ჯარიმების გადახდას.

**სტამბოლი**. გაზეთები ბევრსა სწერენ ბოლგარიის მეფის პეტერბურგში ჩასვლისა და იქ წარმოთქმულ სიტყვების შესახებ. დიდ ვეზირად ნამყოფის ქიამილ-ფაშას ორგანო „იენი გაზეტა“ პასუხსა სცემს „ნოვოე ვრემიას“ და მადლობას უხდის რუსეთის პრესსას, რომ მან თვალი აუხილა ზოგიერთებს, რომლებსაც აქნობამდის რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა სწამდათ. „იენი გაზეტა“ სწერს, სლავიანები ძლიერდებიან და ამიტომ ოსმალეთი გერმანიას უნდა დაუახლოვდესო.

**ბერლინი**. ლანდტაგი. სოციალ-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, რომ საიდუმლო პოლიცია გაუქმებულიყო. სოციალ-დემოკრატმა გირშმა განაცხადა, ლანდტაგმა საიდუმლო პოლიციისთვის ფული არ უნდა გადასდოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც ერთი მხრივ მონაწილე იქნება აგენტების ჯაშუშობაშიო. ლანდტაგის თავმჯდომარემ გირშს შენიშვნა მისცა. მცირე კამათის შემდეგ ლანდტაგმა გადასდო საიდუმლო პოლიციისთვის საჭირო ფული.

„ფოსიშე ცაიტუნგს“ ათინიდან ატყობინებენ: სტამბოლში ჩამოვიდა 6 კრიტელი მაჰმადიანი. მათ აზრად აქვთ მოლაპარაკება გამართონ ვენიზელოსთან, რომ ოსმალეთი და საბერძნეთი სხვის დაუხმარებლად მორიგდნენ კრიტის საქმის გადაწყვეტაშიო.

**ნიუ-იორკი**. ვალლასში, ზვავის ქვეშიდან ამოიყვანეს 25 კაცი. ჰფიქრობენ დანარჩენი 100 კაცი დაიღუპა.

**ფილადელფია**. მუშათა ცენტრალურმა კავშირმა, რომელშიაც 125,000 მუშა შედის, დაადგინა მხარი დაუჭიროს ტრამვაის გაფიცულ მუშებს და 20 თებერვალს გაფიცვა გამოაცხადოს.

**სალონიკი**. ყარადაღის ოლქში შეტაკება მოუვიდათ ოსმალეთის ჯარს და ბოლგარელ რაზმელებს. მოკლულია ერთი რაზმელი.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი**. უმაღლესის ბრძანებით სტავროპოლში მოიხსნა გაძლიერებული წესები. ჩერნიგოვის გუბერნიასა, ჩელიაბინსკსა, და ორენბურგის გუბერნიაში გაძლიერებული წესები 4 სექტემბრამდის ან გაძლიერებულ წესების ახალ კანონის გამოცემამდე დარჩება, რა თქმა უნდა და კანონი 4 სექტემბრამდის გამოიცემა.

**კიევი**. საინტენდატოს რევიზორმა ხოტიაინცევმა გაჩხრიკა მოხელე ტიხოპოვის ბინა. იპოვეს სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები.

**ტაგანროგი**. მუშაობა დაიწყეს კრინდაჩევის სამთო-მადნო ამხანაგობის მუშებმა. გაფიცვის მიზეზი ის იყო, რომ მუშებს უკანასკნელ თვე ნახევრის განმავლობაში ჯამაგირი არ მიეღოთ.

**ბრესტ-ლიტოვსკი**. სამოსამართლო პალატამ გაარჩია 6 მოხელის საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელს ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვაში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ ოთხი გაამართლა, ორს ოთხი-ოთხი თვით ციხე მიუსაჯა.

**ალექსანდროვსკი**. 14 თებერვალს, ღამე, პოლოგის სადგურზედ რევოლვერით მოჰკლეს უფროსი საეროზო დარაჯი.

**ჰელსინგფორსი**. 15 თებერვალს 75 წელიწადი შესრულდა, რაც ლენროტმა სახალხო ეპოსი „კალევალა“ გამოსცა. დიდის ამბით იდღესასწაულეს ლენროტის ხსოვნა.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ცირკულიარი და „ინოროდცები“**. „რუსკ. სლოვო“-ს კიევიდან დეპეშით ატყობინებენ: კიევის გუბერნატორმა უკვე ისარგებლა მინისტრის სტოლიპინის ცირკულიარით ეროვნულ ორგანიზაციების შესახებ და უმაღლეს მთავრობას წარუდგინა პოლონელთა და უკრაინელთა იმ საზოგადოებათა სია, რომელთა დაკეტვაც განუზრახავს ძალით. დასაკეტად დანიშნულია სულ 8 საზოგადოება. ამავე ცირკულიარის ძალით ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა პოლონელ თა ერთი საზოგადოება.

✦ **ეპ. კირიონი და სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი**. რუსეთის გაზეთებში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: ჟურნალ „ბოგოსლ. ენციკლოპედიის“ რედაქტორს, მემარჯვენე პროფესორს გლუბოკოვსკის ჟურნალში მოუთავსებია ეპ. კირიონის სურათი და მისი სღვთისმეტყველო შრომების მიმოხილვა. ამისთვის სინოდის ობერ-პროკურორს როგოვიჩს შენიშვნა მიუცია პროკურორისთვის, რომელსაც უპასუხნია: მე არასოდეს ერთმანეთში არ ურევ პოლიტიკასა და მეცნიერებას, ხოლო ეპ. კირიონის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო მოღვაწეობა ყველგან და ყველასაგან დაფასებულიაო.

✦ **მოწაფეთა დამხმარებელი ძმობა**. კვირას, 21 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათისთვის, ქალთა საეპარქიო სასწავლებელში (ანდრეევის ქუჩა, № 42) დანიშნულია დამფუძნებელი კრება ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ ძმობისა. კრების წინ საქართველოს ეგზარხოსის მიერ გადახდილი იქნება პარაკლისი. კრებაზე მოწვეული არიან ქალაქის სამღვდელოება და სხვანი.

✦ **მეფუტკრეობის სახელმძღვანელო**. კავკ. საბრეშუმო სადგურს 600 მანეთი გადაუდვია მეფუტკრეობის სახელმძღვანელოს (ბერტრანისა) ქართულად გადასათარგმნელად და გამოსაცემად.

✦ **შეტაკება თათრებ შორის**. ბაქოში, საბუნჩაში შეტაკება მოსვლიათ თათრების ორ გადამტერებულ ჯგუფს. ამტყდარა სროლა, რომლის დროსაც დაჭრილა შვიდი კაცი. რამდენიმე კაცი შეუპყრიათ.

(„კ.“)

✦ **გაზით განათება**. ტფ. ქალაქის თვით-მართველობას კარგა ხანია შემუშავებული აქვს საკითხი ქალაქის გაზით განათების შესახებ და ამა წლის 1 თებერვლისათვის საზოგადო ვაჭრობაც-კი იყო დანიშნული იმათთვის, ვინც მოისურვებდა

# ოსმალელი ქართველები

(შემდეგი*)

ქართულ ზნე-ჩვეულებაში და სოციალურ შეგნებაში ყველაზე მტკიცედ შენახულა ნათესაური კავშირი. თუმცა რჯულით ბიძაშვილები ერთმანეთს ერგებიან და თურქები მისდევენ კიდეც ამ ჩვეულებას, მაგრამ ქართველები ზიზღით უყურებენ ამ ნაირ სისხლის შერევას და თუ ვინმე გაჰბედა და დაარღვია ბიძაშვილთან ნათესაობა, საშინლად აუღელვდებიან და მეზობლობას უკვეთენ. თვით ქორწინებასაც შერჩენია ქართული ხასიათი, მაგრამ რადგან ამაზე უკვე ვსთქვით ორიოდე სიტყვა, ამიტომ სულეიმანის სიტყვები მხოლოდ დამტკიცებაა ამ ფაქტისა და აქ აღარ გავიმეორებთ. ქალს დედმამა ურჩევს საქმროს და ვაჟიც დედმამას ანდობს თავის მომავალ ბედს. მაგრამ ეს არის ნებაყოფლობით დადგენილი წესი და ზოგჯერ ქალიც გამოდის ამ ჩვეულებიდან: „თუ ვინმე მოსწონს, მამას გან უცხადებს, ნამეტნავად თუ გოგო მამის ერთაა, იცის, რომ მამა ვერ გაიმეტებს და წაჰყვება; თუმცა მამა გაჯავრდება კიდეც, მეზობლებიც,—რატომ ქორწილი არ გადაიხადეთ, როგორც წესიაო, ილაპარაკებენ, გაჩუმდებიან“. ბედი ჩვენის მუსულმანის ძმებისა ჩვენ ისე გვეხება, რომ მათი ჭირი და ლხინი ჩვენია; თუ რაიმე საერთო ზნეჩვეულება შეჰნახვიათ, რაც უნდა მცირე იყოს, ჩვენთვის დიდად ჩაითვლება. ხოლო რა ფიქრი და მოვალეობა აღგვიჩნდება ჩვენ, როდესაც სულეიმან ვეისი თავისი გულწრფელის და მარტივის ენით გვატყობინებს არა თუ რაიმე ზნეჩვეულებას, არამედ ამაზე უფრო ბევრად საგულისყურო ფაქტს, რომლიდანაც სიცხადით ვიგრძნობთ, თუ რაოდენ დიდია ამათი წყურვილი თავის დაცვისა და ერთ ეროვნებადვე დარჩენისა. თუმცა აქაური ქართველები ერთმორწმუნე ხალხში არიან გაბნეულნი, იმ ხალხში, რომელიც მექქასავით მოილოცა, მაგრამ მაინც ისევ ერთმანეთში ნათესავდებიან ქორწინებით და თურქებს არა შემთხვევაში არ აძლევენ ქალს და არც თითონ ქალი მიჰყვება თურქს; ხოლო თურქებიდან კი თხოულობდნენ ქალს და, როგორც მარწმუნა, ოჯახში შემოყვანილი თურქის ქალი ქართულ ენაში იწრთვნება. ამ ამბავმა იმედი და სიამოვნება ბევრი მომცა, ხოლო მაშინ კი სიხარულითა და სიამაყით ავივსე, როდესაც სულეიმან ვეისმა მოიგონა და აგვიწერა დღევანდელამდე წმინდად შენახული ყველაზედ მკაფიოდ გამომხატველი ნიშნობლივი თვისება ქართველთა ეროვნულ ხასიათისა: რაინდული ადამიანური ქცევა და მოპყრობა მამაკაცისა დედაკაცთან; თანაც ეს ამბავი მან ამ სიტყვებით დაგვითავა: „გურჯის ნამუსი მე არა კაცში არ მეგულებაო“. რაშია საქმე?

კარგად მოგეხსენებათ, რა დავიწყებაშია ყველგან ქალი და სად რა ადგილი უჭირავს მამაკაცთან. თუ განათლებულ ქვეყნებში ქალი სრულიადაც არ არის თავისუფალი და თანატოლი კაცისა, ოსმალეთში ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ქალი ისე დამცირებულია, რომ მისი უფლება ვის აგონდება, უბრალო პატივისცემაც არა აქვს, თუნდ როგორც დედასა, ზედაც ყოველი სამძიმო საქმე მისი ვალი და ვახშია. ბევრჯელ დედაკაცი რომ მძიმე შრომით ოფლში იწურება, მამაკაცი თავისუფალ მოსვენებაშია. ყველა ხვნია თავი ხალხსა, ჩვენში ქალის ამის მაგიერი სიკეთე ის არის, რომ, სულეიმანის სიტყვით, თურქი ქალსა სცემს და ეს მოვლენა მათში სირცხვილად არ ითვლება, თუნდა აშკარად ხდებოდეს. აი, ამისთანა ატმოსფერაში ჩავარდა ქართველობა, როცა იგი გადასცდა თავის სამშობლო ნიადაგს. მას ფართო სამაცდურო მაგალითი გადაეშალა თვალწინ და რჯულიც ნებას აძლევდა, რომ ცხოვრების სიმძიმე თავის კისრიდან დედაკაცზე გადაეტანა, კარგია ხომ მოსვენება, თუ ჩვენ მაგივრად სხვა ვინმე ირჯება, ისიც ხმის ამოუღებლად, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ შემდგარა და არ შეუცვლია ადრიდანვე ჩანერგილი მხედველობა ყველას საკუთარი მოვალეობისა, არ შეუცვლია ადამიანური განწყობილება და შრომის განაწილება სქესთა შორის. ალბად ბუნებაში არ უწერია ქართველს სუსტის დაჩაგვრა, რომ აზრი უკუღმა არ მოუტრიალებია და ამ უჩვეულო პირობებშიაც იმას ამობს, რაც იმის წინაპართ კეთილშობილურმა გულმა ათქმევინა, და დაუდგენიათ: გარე საქმე, ძნელი სამუშაო, ყველა, რასაც კი მეტი ღონე სჭირია, იგი კაცის საქმეა, დედაკაცისა არის სახლი და კერა. ცული და ხერხი, ცელი და ნამგალი ისეთი რამეა, რომელსაც დედაკაცმა ხელი არც კი უნდა წაავლოს; ამიტომ დიდ უკადრისობად და სირცხვილად ითვლება, ვინც თავის მაგიერ სამუშაოზე დედაკაცსა ჰგზავნის. თუ ასე აზიზად ექცევიან დედა-კაცის სოციალურ მდგომარეობას, მაშ ქალის გალახვა რა იქნება ამათ თვალში? იგი პირდაპირ თავის მოჭრაა და ამის ჩამდენი ვაჟკაცი ვაჟკაცად აღარ ითვლება, სირცხვილით ველარ ეჩვენება ქვეყანას და მადლობა ღმერთს არ შეურაცხვნია თავი ხალხსა, ჩვენში ქალის გალახვა არ არი, თქვა სულეიმან ვეისმა; მაშ სრული უფლება ჰქონდა მას სიტყვა ასე დაეთავებინა: „გურჯის ნამუსი მე არა ხალხში არ მეგულება“. სწორედ ეს „გურჯის ნამუსი“ და სხვებში გალახვა ყოფილა ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ ქართველი ქალი არ ეძლევა თურქსა და თურქისა სიხარულით მისდევს ქართველსა.

ამით მინდა დავითავო ლაპარაკი სულეიმან ვეისზე, მაგრამ ვიდრე გამოვემშვიდობებოდეთ, ერთი ამბავი კიდევ მოისმინე მისი ნაამბობი თავის ცხოვრებიდან, ამბავი ფრიად საცნობიერი, რომლის გაგონებამ ჯოჯოხეთის ცეცხლი და ბოლმა ერთად დამიტრიალა გულში, ისე მძლავრად, ისე მედგრად შემეხო და შეურაცხყო ჩემი თავმოყვარეობა. სადამდე უნდა დავვარდნილიყავით, რომ ეს დამცირებაც დაგვმართოდა. თურმე უკანასკნელ ხანამდე მაჰმადიან ქართველებში ბევრს იპარავენ ან იტაცებენ ახალგაზდა ქალებსა, ბევრიც მოტყუებით გამოჰყავთ ღარიბი დედ-მამის შვილები, გაგიზრდით, გამოგიგზავნითო, ობლები ხომ განსაცდელში ცვივიან, ვისაც კი ჩაიგდებენ, მიჰყავთ აქაურ არამხანებში და სერალებში მისაცემად და რაკი იქ შეიყვანენ, მომკითხავი ნუღარავინ იქნება, თუ სიცოცხლე უნდა; საბრალო არსებანი იქა რჩებიან და იქ ბერდებიან; დედ-მამა ცოცხლივ კარგავს შვილს, შვილს ავიწყდება დედმამის სახელი, აღარ ახსოვსთ აღარც სოფელი, ჰკარგავენ ენას, იციან მხოლოდ რომ ქართველები არიან და ცრემლით ნატრობენ გურჯის ნახვას, ნეტავ ოდესმე ჩვენიანი ვინმე გვაჩვენაო. წინათაც ბევრჯერ გამიგია და უცხო პრესსაშიაც წამიკითხნია, რომ აქაურ სერალ-ჰარამხანებში მრავლად მრავალია ქართველი ქალი და ეხლა თვით ჩვენი საბრალო ძმებისაგან გვესმის. როცა ბევრი შეგროვდებოდა და აბდულ-გამიდიც მოიწყენდა, იქიდამ დიდკაცებს ურიგებდა და იმათ ადგილს ახლები დაიჭერდნენ. აბა ახლა იანგარიშე, თუ მის სერალში ქართველები მუდამ ყველაზე მეტნი იყვნენ, რამდენი ქართველი დედის გული ატირდებოდა, რამდენი ქორფა მოზარდი თავის ქვეყანას დააკლდებოდა. ძალიან ხშირად გაიგონებთ ამა და ამ ფაშის დედა ქართველიაო. თვით დღევანდელ კონსტიტუციის გმირის გენერალისიმუს შევქეთ ფაშის დედა ქართველი ყოფილა, როგორც ამბობენ. სასახელო შვილის გაზრდა დიდი სახელია, მაგრამ ჩვენის დამცირების პასუხი რაღა არი? იმ დროს, როდესაც განათლებულმა კაცობრიობამ პიროვნება ათავისუფლა და თვით ველურ კაცთა ადამიანურ ღირსებას შეულახველი დიდ სასჯელზე განამწესა, განუმტკიცა ყველა ეროვნებას ელემენტარული უფლება, ქართველი ქალი ტაციობისა და სურვილის საგნად გახდარა; მას მხოლოდ იმას უმადლიან, რომ ლამაზი დაბადებულა, დანარჩენი ადამიანური ღირსება კი ეხდება, მას ის უფლება არა აქვს, რომ დედმამის სახელი დაიხსომოს და პირი მათი დაინახოს. სილამაზე გურჯისტანში, ჰკუა ფრანგისტანშიო, ეს ანდაზა შემდგარა თურქებში და იქნება იფიქროს ვინმე კიდეც, რომ სწორედ ეს სილამაზეა მიზეზი მათი ტრფიალებისა, მაგრამ არა, ლამაზებს თურქებშიაც იპოვიან და აქ-კი სულ სხვა კოჭი ტრიალებს. რაც უნდა დიდ მოტრფიალე იყოს კაცი ამ ჩვეულებისა და შიგ გამოხარშული ჰქონდეს ტვინი, მაინც იგრძნობს, რომ რაღაცა კაი საქმე არ არი და აბა ამას როგორ გაუბედავენ და როგორ აკადრებენ თურქის ქალს, თავიანთ სისხლსა და ხორცს, გაბატონებულ ხალხის შვილს, ჩვენა ვართ ადვილად გასაქელნი და ცუდ საქმეზედ ადვილად გასამეტნი, თავს დასტეხია ამნაირ სირცხვილის განსაცდელი სულეიმან ვეისსაც. მას დედ-მამა დახოცია და ორნი პატარა დები თორმეტ-ცამეტის წლისანი გათხოვილ დასთან დაუტოვებია. მათი სილამაზე და დაობლება შეუტყვია ერთ ფაშას (სახელიცა თქვა) აბდულ-გამიდის ჯაშუშს; უთქვამს სულეიმან გიორგაძისთვის, შენი დები მოიყვანე, სერალში მივცეთო. მე ჩემს დებს მკვდრებს-კი ვნახავ და სერალში მიცემულს-კი არაო და შეშინებული სოფელში წასულა, დები არ მომპარონო და სტამბოლში ჩამოუყვანია, ობოლ მოწაფეს აბა რა ექნებოდა, აქ იგინი თავისთან შეენახა ნახევრად მშიერ-მწყურვალნი. დილით პურს ვაჭმევდი და წავიდოდი, ხან უპუროდ ისხდნენ, მანამ სკოლიდამ დავბრუნდებოდი, ზოგჯერ ფარა (ფული) არა ჰქონია და ბევრჯელ მშივრები დამრჩენიაო და ასე გაუტარებია რამდენიმე ხანი. მერე გამომიჩნდა ერთი პატიოსანი მანდილოსანი, სხვა ქალიშვილებიცა ჰყვანდა აყვანილი და იმას მივაბარე, წინადაც ვიცნობდი, კარგი იყო, თორემ არ ვენდობოდიო და მაინც სიფრთხილისათვის ყოველ დღე მიდენილა სანახავად. თურმე ამ სახლში კიდევ სხვა ჯაშუში ყოფილა იმ გვარი; დედაკაცი შეუცდენია და პატარა ქალები სხვა სახლში გადაუყვანინებია, საიდანაც ერთი ნაბიჯის გადადგმით გზა პირდაპირ სერალში წავიდოდა. და რა კი იქ შეიყვანდნენ, მერე იქიდან მათ ველარა რჯული ვერ იხსნიდა. გიორგაძეს რომ ჩვეულებრივ დები მოეკითხნა, დედაკაცს ეთქვა, სხვა ბავშვებთან სასეირნოდ გაიარესო.

*) იხ. „დროება“ № 36

იჯარით ქალაქის გაზით განათების ალებას და საგაზო სადგურის აშენებას. გამგეობამ გაზეთებით გამოიწვია მსურველნი როგორც ევროპიდან, ისე რუსეთიდან, მაგრამ მსურველი არავინ აღმოჩნდა.

✦ **კრება.** დღეს, 17 თებერვალს, საღამოთი კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვის და სხვა საქმეების განსახილველად.

✦ **დრამატიულ საზოგადოების გამგეობა.** ორშაბათს, 15 თებერვალს, მოხდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახლად არჩეულ გამგეობის კრება. თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკ. გ. ქართველიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად ალ. პ. სარაჯიშვილი, ხაზინადრად ბ-ნი ნ. შიხინოვი, ხოლო მდივნად დ. ნახუცრიშვილი.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 15 თებერვლის სხდომაზე უმთავრესად წვრილმანი საქმეები განიხილა. საყურადღებო იყო საქმე ქალაქის განათების შესახებ. როგორც ვიცით, საბჭომ ამ ერთი წლის წინად სურვილი გამოსთქვა, გამგეობას შეემუშავებინა განათების საქმე—იჯარად უნდა გადაეცეს იგი, თუ თვით ქალაქმა უნდა აწარმოვოს. გამგეობამ მოხსენება წარუდგინა საბჭოს. იგი წინააღმდეგია განათების იჯარით გაცემისა და თავისი მოსაზრებანიც მოჰყავს. გამგეობა ამბობს, რომ მოიჯარადრის ინტერესი ფულის მოგებაა და რაც უნდა სასტიკი კანტროლი გაუწიოთ, განათების საქმეს კარგად ვერ მოაწყობინებთო. საბჭოში ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. უმრავლესობა ამჯობინებდა, რომ განათების საქმე გამგეობამ აწარმოვოს. დასასრულ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება.

✦ **უძრავ ქონების დაფასება.** აპრილიდან ქალაქის საბჭოს დადგენილებით, განსაკუთრებული კომისია შეუდგა ტფილისში უძრავ ქონების დაფასებას. დამფასებელი კომისიის ხარჯისთვის, როგორც ვიცით, ქალაქმა 40 ათას მანეთამდე გადასდო. ხუთშაბათისთვის საბჭოს დარბაზში დანიშნულია თათბირი ხმოსნებისა. თათბირზე დაასახელებენ კანდიდატს დამფასებელ კომისიის თავმჯდომარისას. კანდიდატად რამდენსამე კაცს ასახელებენ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ 15 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: კვირას, 21 თებერვალს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ბ-ნ ერმოლაევის ლექციის დაწყებამდე გადახდილ იქნეს პანაშვიდი მსახიობ ქალის ვ. ი. კომისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ ბ-ნი ერმოლაევი გააცნობს დამსწრეთ გარდაცვალებულ მსახიობ ქალის ცხოვრებასა და სასცენო მოღვაწეობას.

✦ **ტორმოზი.** ახალი ტორმოზი გამოუგონია ბ-ნ ლგოტაკს. ამ ტორმოზით მსწრაფლ შეიძლება ვაგონის გაჩერება. ლგოტაკმა მოხსენება და მოდელი ტორმოზისა ქალაქის გამგეობას წარუდგინა, გამგეობამ ეს მოხსენება გაუგზავნა უსახელო საზოგადოებას და წინადადება მისცა, თავისი აზრი გამოსთქვას.

✦ **ცეცხლი.** 16 თებერვალს ბაქოში გადამწვარა „შიხოვის“ საზოგადოების ნავთის სამი კოშკი.

✦ **შუამდგომლობა.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა, ერთხელ კიდევ სცადოს ბედი და აღძრას შუამდგომლობა კავკ. ნამესტნიკის წინაშე, რომ მიეცეს უნივერსიტეტს ქართულ ენაზე ლექციების კითხვის ნება. გამგეობამ აირჩია დეპუტატებად სამი კაცი— ვ. ი. რცხილაძე, როხლინისა და არაქელიანი. დეპუტატები ამ დღეებში წარუდგებიან ნამესტნიკს.

✦ **გადასახლებული რუსები.** ამ რამდენიმე ხნის წინად ყუბანის მაზრაში დაუსახლებიათ 120 რუსის ოჯახი. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, აქედან 80 ოჯახი-ღა დარჩენილა. დანარჩენი ცუდი ჰავისა გამო ან რუსეთში წასულან, ან ამოწყვეტილან. ამ 80 ოჯახს ეხლა მუღანში ასახლებენ.

✦ ქველმოქმედთა საყურადღებოდ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „კრასნაგორსკის ქუჩაზე (მეორე შესახვევი, № 3, ალმაზოვის სახლში) სცხოვრობს მეტად გაჭირვებული ოჯახი გაიანე ბიძინაშვილისა. თვით ეს ქალი ქვრივია; ჰყავს ორი შვილი, ორივე სნეულია და მწოლარე. აქამდი დედა თავის შრომით არჩენდა ოჯახს; ახლა კი იძულებულია მუდამ ავადმყოფებთან იყოს და სამუშაოდ ვეღარ დადის. დგანან ნესტიან და ბნელ სარდაფში, რომელსაც თითქმის მთელ ზამთარში ერთხელაც ვერ მოუხერხა გათბობა, რადგან შეშა არა აქვთ. მდგომარეობა მეტად შემაძრწუნებელია. იმედია, კეთილი ადამიანები შევლენ ამ საცოდავების მდგომარეობაში და შეძლებისამებრ დახმარებას გაუწევენ. ადრესი: **Красногорскій, второй тупикъ № 3, д. Алмазова.**

✦ ტფ. ქალაქის ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, წინადადება მისცეს ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორს, წყნეთის ქუჩაზე გაამრავლოს ვაგონების რიცხვი, რადგან ქალაქის ამ ნაწილში დიდი მოძრაობაა და ორი ვაგონი საკმაო არ არის.

✦ 14—15 თებერვალს ქალაქში შემდეგი ამბები მოხდა. პოლიციის მე-12 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 18 უპასპორტო კაცი, ტფ. საგლეხო ბანკის ბუხჰალტერმა ვარდან ვარდანიანცმა პოლიციას განუცხადა, მოსამსახურე ქალმა პოლიაკოვისამ 10 მანეთი მიითვისა და დაიმალაო. პოლიაკოვისა დააპატიმრეს. პოლიაკოვისა ორჯელ მჯდარა ციხეში ქურდობისათვის. 15 თებერვალს გუმბრის მცხოვრები დანელ ჯაგანოვი დააპატიმრეს, რომელიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებულა. ამავე დღეს ესრედ წოდებულ „ქულეზნი რიადში“ ელექტრონის ვაგონი დაეტაკა მიხეილ გლიგუაშვილის ფურგუნს და დაამსხვრია. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

## თეატრი და ხელოვნება

**ბ. მ. მელიქიანის იუბილეი.** ორშაბათს საარტისტო საზოგადოების თეატრში გადაიხადეს 25 წლის იუბილეი მსახიობ ქალის ბარბარე მელიქიანისა. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი და საღამოს სადღესასწაულო ელფერი ედო. იუბილეი სომხურ წარმოდგენით დაიწყო. წარმოადგინეს „პეპოს“ მეორე მოქმედება. იუბილიარს, რასაკვირველია, ხანგრძლივი ტაშით მიეგებნენ. შემდეგ დადგეს ქართულად „შემოსავლიან ადგილის“ მეოთხე მოქმედება. მონაწილეობას იღებდნენ იუბილიარი, გაბუნია-ცაგარლისა, ტ. აბაშიძე და გვარაძე. ბოლოს წარმოადგინეს სომხურად „ადვოკატთან“. სამივე პიესამ კარგად ჩაიარა.

მეორე ანტრაქტის დროს გაიმართა მილოცვა. ფარდა რომ აიხადა, სცენაზე იდგნენ სომხური თეატრის არტისტები და მიმლოცველნი. იუბილიარი სცენაზე გამოიყვანეს დრამატურგმა გაბრიელ სუნდუკიანცმა და ნ. გაბუნია-ცაგარლისამ. პირველად იუბილიარს მიულოცა გ. სუნდუკიანცმა, მერე საიუბილეო კომისიის წარმომადგენელმა ექ. ხარგარიანცმა და სხვებმა. ქართ. დრამ. საზოგადოებამ იუბილიარს მიართვა ვერცხლის გვირგვინი. თავ. ნ. ერისთავმა წაიკითხა ადრესი. ქართულ დასის მხრივ მიულოცა კონს. ანდრონიკაშვილმა. მშვენიერის სიტყვით მიმართა მარიამ საფაროვა-აბაშიძისამ. მიულოცა კ. ყიფიანმაც. თამარ გოგოლიშვილმა სახალხო თეატრთან არსებულ სცენის მოყვარეთა სახელით ადრესი წაიკითხა. ამხანაგებმა, სომხურ დასის არტისტებმა, ძვირფასი საჩუქრები მიართვეს იუბილიარს.

ბოლოს თვით იუბილიარმა მოკლე სიტყვით მადლობა გადაუხადა მიმლოცველთ და დამსწრე საზოგადოებას.

—

**სახალხო ლექცია ქუთაისში.** კვირას, 14 თებერვალს, ქართ. თეატრში სახალხო უნივერსიტეტმა გამართა მეორე სახალხო ლექცია. ექიმმა კ. ტყეშელაშვილმა წაიკითხა „ფიზიოლოგიის“ შესახებ, ხოლო ბ-ნმა გარსევანიშვილმა დამსწრეთ გააცნო ვახტანგ VI კანონმდებელი. ორივე ლექტორი მრავლად თავმოყრილმა ხალხმა ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა.

—

**ქუთაისი.** 13 თებერვალს შალვა დადიანის საბენეფისოდ დასმა პირველად წარმოადგინა ინგლისელ მწერლის ჯერომს-ჯერომსის ახალი პიესა: „მისს გობბს“ ანუ „ქალის ჭკუა“, კომედია 4 მოქ., თარგმ. ვ. გუნიასი.

მისს გობბსი რეალურ ცხოვრების პირობებს სალი თვალების ნაცვლად სუსტი ღირსების სათვალეებით უყურებს მან ერთხელ გამოსცადა უიღბლო სიყვარული მამაკაცისადმი და ამ გარემოებამ ყველა მამაკაცს გაუტეხა სახელი გენრიეტას თვალში და სიძულვილით და შურით აღავსო მისი გული. გენრიეტა გობბსი განიზრახავს ბრძოლას ამ უსამართლო მოვლენასთან. იგი ჰფიქრობს დაარსოს ქალთა კლუბი, რომელსაც დევიზად ექმნება დაჩაგრულ ქალთა სქესის განთავისუფლება დამჩაგვრელ მამაკაცთა მონობის უღლიდამ. პირველად ქ-ნი გობბსი მეგობარ ქალებიდან იწყებს საქმეს. გაათვისებს სტრფოს —დანიშნულისაგან მოაშორებს ცოლს ქმრისაგან, მაგრამ ეს უკანასკნელნი მალე რწმუნდებიან, რომ მათი კეთილის-მყოფელი შემცდარია საზოგადოდ მამაკაცთა ასე „ნარდად“ დაფასებაში და ისევ ძველ გზას უბრუნდებიან, ესე იგი პირველი—საქმროს მეორე—ქმარს. გობბსი რჩება მარტო და ძველებურად არა სწამს რა მამაკაცისა, თუმცა იგი მოკლებულია იმ ცოცხალ მოსაზრებას, თუ რაა ქალის უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება ცხოვრებაში. გენრიეტა გობბს წარმოდგენაც-კი არა აქვს სულ უბრალო ოჯახურ საქმეებზე. განა ამისთანა საქმისათვის არის გაჩენილი მისი თეთრი ბამბასავით რბილი თითები! მაგრამ დახეთ ბედს: გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც გაბედა და ამგვარ საქმის გაკეთება დააკისრა.

— როგორ?—მე მოვადუღო რძე! დავამზადო ყავა! გავშალო სუფრა?!...—გაოცებით კითხულობს ქალი—არასოდეს!!

— როგორაც გენებოთ! — ცივად მიუგებს მამაკაცი:—ჩვენი გემი (სცენა გემზე სწარმოებს) ნაპირს მოსცილდა და ეხლა შუა ზღვაში მივსცურავთ თუ არ მოგშივდეთ, ნუ გააკეთებთ, მაგრამ — უნდა გითხრათ-კი, რომ თქვენ მეტად შემცდარი წარმოდგენა გაქვთ თქვენს თითებზე, თითქოს ისინი მარტოოდენ მამაკაცთა საკოცნელად იყოს გაჩენილი. არა!.. ქალთა უმთავრეს მოვალეობას ის შეადგენს, რომ იყოს ღირსეული მეუღლე ქმრისა, შვილების მოსიყვარულე და მათი პატიოსან მოქალაქედ აღმზრდელი, ოჯახის პატრონი და ოჯახურ მოვალეობის ამსრულებელი. აი, ესაა თქვენი პირდაპირი ვალი და ტყუილ უბრალოდ ჰკარგავთ „ძალას უნიადაგო ბრძოლაში...

შიმშილმა თავისი გაიტანა... მისს გობბსი მშვენიერი დიასახლისი გამოდგა, თუმცა ყველაფერი ბუზღუნით გააკეთა, მაგრამ თვით სიტყვებმა, მისმა ჭეშმარიტებამ ჩააფიქრა... ფიქრმა ფრთები შეისხა „დესპოტი“ მამაკაცი თან და თან კარგის ღირებულებისა აღმოჩნდა და ბოლოს გენრიეტა გობბსი შეყვარებული ცოლადაც გაჰყვება მას...

პიესის დედა-აზრი მაინც და მაინც დასაწუნი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ იტაცებს მაყურებელს და ცოცხალ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.

ჩვენმა მსახიობებმა ამ საღამოს მეტად „გაიპამპულეს“. სცენაზე ერთი მეტი სიცილი იყო, ვიდრე—მაყურებელთა შორის.

მეორე საღამოსათვის დანიშნული იყო „კრიმ საიდუმლო“, მაგრამ ეს იძულებული შეიქნა „და-ძმა“ ეთამაშნათ მოუმზადებლად. ბოდიში წინდაწინვე მოიხადეს საზოგადოების წინაშე, თუმცა საბოდიშო მაინც და მაინც არაფერი გადახდენიათ. „და-ძმა“ მეტ წილად სუსტად შესრულებული გვინახავს ჩვენს სცენაზე და ეს წარმოდგენაც წინაპრებს წაავავდა...

ხუთშაბათს, 18 თებერვალს, მ. ნემოს საბენეფისოდ იდგმება ორი ახალი პიესა: „დალი“, დრამა ს. ელახიშვილისა, და კომედია „ახირებული შემთხვევა“. **ჯაფარ-ფაშა.**

—

**ანფისა ქართულად.** ლეონიდ ანდრეევის ანფისა ქართულად უკვე გადმოითარგმნა და ქუთ. დრ. დასი ამ ცოტა ხანში ამზადებს წარმოდგენას ქ-ნ ივანიძის საბენეფისოდ.

—

**სურამი.** ბ-ნ ხიდის თეატრში 30 იანვარს აქაურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით გამართა იაფ ფასიანი ქართული წარმოდგენა. ითამაშეს დრამა „დასჯილი“ აწყურელისა და გოდვილი „ბუტიაობა“ მისივე. კარგად ითამაშეს „დასჯილში“ გერასიმეს როლი ბ. რ. ჩიკვაიძემ და კოშაძის როლი—ბ. თთარმა. არა უშავდათ რა ელენეს როლში ორჯონიკიძეს და ნინას როლში ე. სულიაშვილს. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ. კარგად ჩაიარა აგრეთვე „ბუტიაობა“. მოთამაშეებმა ბევრი აცინეს საზოგადოება, რომელიც ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

წარმოდგენების შემდეგ ი. შალიბაშვილმა მიმართა დამსწრე საზოგადოებას და თავის მოკლე სიტყვაში განუმარტა სარგებლობა ამგვარ წარმოდგენებისა და მისი ხშირ-ხშირად მოწყობის საჭიროება. შეეხო აგრეთვე როგორც პროგიმნაზიის, ისე სხვა ადგილობრივ-კულტურულ დაწესებულებების მდგომარეობას.

სურვილი დრამატიულ საზოგადო-

---

ამას მაშინვე ეგრძნო და ძლიერ შეფიქრიანებულიყო, მაგრამ მაინც მეორე დღემდე მოეცადა, ვნახოთ, საქმე საით მხარეს წავაო. მაგრამ როცა მეორე დღესაც იგეთივე პასუხი ეთქვათ, მაშინ კი რისხვითა და მუქარით მიემართა დედაკაცისთვის: ან ეხლავე უნდა მაჩვენო ჩემი დები და ან მითხრა, სად არიანო. გაქანდა საწყალი ყმაწვილი იქ, სადაც შიშ ნაჭამმა დედაკაცმა უჩვენა და დიდი ჩხუბი-დავიდარაბით გამოიყვანა თავისი დები. ამ ურჩობისათვის იგი სკოლიდან დაითხოვეს, მაგრამ სკოლაში შესვლაც ისევ მოახერხა და თავისი პატარა დებიც დაიხსნა იმ უბედურობისაგან. ვუგდებდი ყურს ამ ამბავს და გული სისხლით მევსებოდა, დარდი მახრჩობდა, მწარედ დავღონდი, ფიქრმა ათასი რამ გადამიბა ერთმანეთში. სადღაც შორიდან ყურთ მომდიოდა დაკოდილი გმირის კვნესა და მისი სახლის აფორიაქება; და იგი კვნესა ჩემ გულში ბინავდებოდა, მრავლდებოდა. ასეთი ტანჯვა და ვაება იწერება ჩვენის ერის დღიურში. რამდენია ასეთი, მაგრამ მშველელი ძმა არ ჰყავს. ფუ, ჩვენო თავო, თუ ასე დავიძინეთ და დავქანცულნდით!

გაზეთი რომ მომივიდა, ვსთქვი, რაკი დაუბეჟდია, ბარე წაუკითხავ კიდეც, ვისზე რა არი დაწერილი მეთქი. ერთ მშვენიერ მკათათვის დღეს გავემგზავრე ქალაქ გარეთ თათრის სასაფლაოსაკენ, სადაც რაშიდ ეფენდი მამინიძეა დამცველად. ჩქარა მოვექეც გარეთ უბანში, რამდენიმე გადადგმა კიდევა და სახლებიც თავდება, ქალაქის ქუჩა გადადის გზა ტკეცილზე და იწყება თვალუწვდენელი მანძილი მინდვრებ-ხევებიანი. ამ მხრივ შემოვიდა სალონიკის ჯარი, აქ არის ის მადლობი ადგილი, სადაც ასაფლავიან უკანასკნელნი მსხვერპლნი, თავისუფლების მაძიებელთაგან შეწირულნი, და ეხლა დ დებულ ძეგლს უდგავენ ძენი თავისუფლებისა. მარჯვნივ მოშორებით მოჩანს ილდიზ-კიოსკის მიდამო, საიდანაც სიკვდილის აჩრდილი და ძრწოლა ევლინებოდა ქვეყანას, მაგრამ დღეს კი გაქრა მისი ძლიერება, როგორც მოჩვენება. მარცხნივ იქვე ახლო სდგას ორი დიდი შენობა: ბულგართა სემინარიასა და საავადმყოფოს თავს დაჰფრიალებს იმედიანად მუდამ ჩამოუხსნელი დროშა ახლად აღდგომილ ერისა. მობრუნდები და თვალწინ გადაგეშლება თავისებურად ელფერიანი კონსტანტინეპოლი. სასახლეებითა და ღარიბ ქოხმახებით აჭრელებული პერა დააწყდება ოქროს რქას, ხოლო მის გადმით იწყება ძველი ქალაქი სტამბოლი. თავშია აღმართული ცნობილი სოფიის ტაძარი, დღეს სამხრეთისაკენ პირმიბრუნებული, პირველი წმინდა ადგილი მუსულმანებისა და უდიდესი საგანი ბერძენთა შიგნეულ გულის ტკივილისა. ბოლოში მოსჩანს მთელ სიგანეზე წავლებული კარგად შენახული ძველი ციხის კედელი ზედ კოშკებ ჩარიგებული; ხოლო შუაში გაშენებულა ქალაქი. აქა-იქ გორასავით ამართულან უზარ-მაზარი მეჩეთები, წოწოლოკინა მინარეთები ბურუსში ადიან, ქალაქს ბურუსი დაჰფენია თავს. რა განაგებს ხალხთა ბედსა და რაა შინაარსი კაცთა ცხოვრებისა, წუთისოფლისა, თითქო იმ მიდამოში ეს კითხვა იყოს დასმული. საუკუნოები რბიან ჩემ თვალ წინ; ძველი და შემდეგი ამბები ერთად იყრებიან და იბრძვიან, კაცი ვერა დგება ერთ ადგილზე, გული საითღაც იხრება.

ხალხი მინდვრად გამოფენილიყო ჰაერისთვის და მიდამოს მოსდებოდა. ყველას ეშოვა საქმე და საზრდო სულისა. ორ წრეთ ყოფილ ახალგაზრდობას ბუსნოზე გაეტანა ბურთი გულმოდგინე ცდილობით თამაშობდა, ზემოთ დიდ ხის ქვეშ წამომსხდარ თათრის დედაკაცებს პირჩადრი აეწიათ და მოტანილ სანოვაგეს მძიმედ შეექცეოდნენ. ირევა ქალი და კაცი, ცელქობენ მალხაზად ბავშვები, არის მხიარულობა, კაცი კაცითა ხარობს, გულს გული აამებს. ტკბილია სოფელი, მაგრამ ობოლი ყველგან გარეთ რჩება. არა თუ გული გიგრძნობს ობლობას, გარე ტანზედაც რომ დაიხედო მაშინაც ჰხედავ ობოლი ხარ, მარტოკა. მე მხოლოდ შორეული მოწამე ვიყავ იმ დღისა, განზე მდგარი, მიუთვისებული. თვალი ამას უყურებს, გონება სხვაგან არის, ვე-ვის მიმართავ, არავინ გკითხავს, წავიდეთ ისევ ჩვენს დაკარგულ ძმასთან, რომ ვიპოვეთ, მივიდეთ, ის გაიგებს ჩვენი გულის პასუხსა და მასაც ეამება ჩვენი ნახვა. გახსოვს მისი სიტყვები: ქართველს რომ ვნახავ გამეხარდებაო.

გავუდეგ ქედობაზე მიმავალ შარა გზას. კონსტანტინოპოლი ეხლა ეხლა მარცხნივ მომექცა. ყველა ერს გაუჩენია აქ თავსაფარი; თუ ბედი ვისმე გაურისხდა, აქ იშოვის ბინასა და დაისვენებს გულით. მეც ვეძებდი გულის იმედათ რაიმე მშობლიურს, მაგრამ თვალმა ვერაფერი ნახა და გულს ტანჯვა მოემატა. აგერ მხოლოდ ფერიქოვის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, იგიც ღარიბი და ღარიბობის გამომჩენელი, აღნიშვნელი ერის დღევანდელ ყოფნისა და მდგომარეობისა; და სხვაგან კი რამდენი მიდის დღესაც ჩვენი მონაგარი. წყნარად, გაუბედავად სდგას და ამწვეტებული გუმბათით გულის ყური ზეცისკენ მიუპყრია, თითქო იქიდან ელისო შველას. მაგრამ კმარა ცის ყურება, იქ ნუ იკარგება ჩვენი იმედი, დავიხედოთ დაბლა, სადაც მიწა და წყალი შობავს ცხოვრებას; ცას და მის მორალს ბევრი მსხვერპლი ვუძღვენით და როცა გამოგველია, მან იმოდენი სამართალიც არ გამოიჩინა, რომ რაც იმის სახელზე და მის სახელით აღვაშენეთ, ის მაინც დაეტოვებინა ჩვენს ხელში.

საავადმყოფოში მნახველთა მიდება თავდებოდა. ხალხი მიდი-მოდიოდა, მეკარენი ფუსფუსებდნენ. მე შევდეგ პატარა ხანს, რომ შემეთვალიერებინა, ვის უნდა დავკითხოდი და ამასობაში მივაჩერდი ერთ კაცს, ფორმის ტანისამოსიანსა. იგი კარებში იჯდა საყარაულო ფიცრულთან. ცხადი იყო, აქ რამ თანამდებობა ეჭირა, მაგრამ რისამე დაკითხვა კი არა, რა ხდებოდა იმის გარეშემო მგონი ისიც არ ესმოდა. სახე აელმიჟა, წარბები წამოეწია და თვალებგამოშტერებული იცქირებოდა სულ ერთ მხარეს, თავის წინ. სხვასა ვკითხე ისევ, რაც საკითხავი მქონდა, მაგრამ ამას ხელმეორედ დავუწყე ყურება და ის კი სრულებით არ მაქცევდა ყურადღებას. მისი ასეთი ყოფა მარწმუნებდა, რომ რაღაც ძლიერი სულის კვეთება გადაჰხდოდა და კაცი გაენახევრებინა, დაენაცრა. მაგრამ მე რათ მტკივა გული და რაღაცა მჩხლეტავს: რათ მებადება ათასი კითხვა მღელვარი და მწვავი, რა აქვს ჩემთან საერთო ამ კაცს, რომ აგრე მიახლოვდება. მის პირისახეს ვაცქერდები, თითქო მინახავს კიდეც სადღაც ოდესმე და ერთი გული კი მეუბნება, მიდი და იმედიანად უთხარი, გამარჯვებაო. საბრალო, მართლა ქართველი აღმოჩნდა, მაგრამ ენა დავიწყებოდა. მივხვდი ყოველ მიზეზს! ენა უბრძოლველად არ დაივიწყება, დამარცხებულს გული გაუტყდება. თუ სთქვა, რომ თურქია, თურქი ეუბნება, გურჯი ხარო, მან კიდევ გურჯული არ იცის. მაშ ვინ არის, რა სულიერი, სად მოათავსოს თავისი თავი, ყველგან თითო კედელი რამ ჰხვდება, ვილასთან გააღვიძოს გული და გონება? აღარავისთან, უნდა ჩაიკლას მოძრაობანი სულისა და აჰა ამის შედეგი: გაველურება და გაჩანაგება კაცისა! შემდეგ რომ მე და ჩემი მეგობარი ქართულად ვლაპარაკობდით, მან გვერდზე ჩაგვიარა და აღარც კი მოიხედა, ალბად გულმა აღარაფერი უთხრა. კარგი, დაუტეოთ მკვდარი, მაგრამ რამდენი, ბევრია, ბევრი!

დიდხანს არ მალოდინა ჩემმა მეგობარმა. გამოსვლისას ჯერ სალამი მომცა, გამარჯვება მითხრა და მერე მისაყვედურა, ნახვა რათ დამიგვიანე და არ მოხვედიო, მე მინდოდა მოსვლა, მაგრამ ერ მეცალაო. დამიჭირა ხელი და ასე ხელი ხელ დაჭერილნი შევედით ბაღში, ხეივანში დავსხედით. მე ვუამბე, რომ მისი ნალაპარაკევი გაზეთში დაიბეჭდა და შევეკითხე, ხომ არ ეწყინებოდა; ღმერთმა გაცოცხლოს, რათ მეწყინებაო. ამოვიღე გაზეთი და სტოლზე გადავუშალე. პირველი ნახვა იყო ქართულ გაზეთისა. მაშინვე დახედა და სახე გაუბრწყინდა, სიხარულის ღიმილმა გადაუარა, თვალები გაულამაზდა. „ეს არი ჩვენი გაზეტა, ეს ბეჭდურია ჩვენებური, ერთია თუ სხვაც იბეჭდება“, მკითხავდა და ვუხსნიდი და გულში რაღაც გრძნობებს იტრიალებდა. ეს წუთი ჰგავდა იმ მღვდელმოქმედებას მორწმუნეთა შორის, რომ სრულდება და, რწამთ, რომ მადლი გადმოდის. იგი ახლად იბადებოდა, მე მოწამე ვხდებოდი, სიხარული ორივესი ერთდებოდა. სამას უბედურ წელიწადს საუკუნო შეჩვენება გავუგზავნეთ და იმ ხნის საბოროტო ცდა იმ წუთში ჩვენ შორის უკვე გავაბათილეთ. იმ ხნის მკვდარნი აღსდგნენ და ჩემ საალერსო სიტყვებზე რაშიდ ეფენდის პირით მიპასუხებდნენ, მადლობელი ვარ, ღმერთმა გაცოცხლოსო. მალმალ ჩაურთის ეს სიტყვები სმენად გარდაქცეულმა რაშიდ ეფენდიმ, როცა გაზეთს ვუკითხავდი.

გავათავე კითხვა და შევხედე მამინიძეს. ღმერთო, რა ძალა ჰქონია სიტყვას, უბრალო პატარა ძმურ სიტყვას! მამინიძე რაღაცა მძლავრ გრძნობას დაეჭირა, სახეს სერიოზული გამომეტყველება მიეღო, ფერი ეცვლებოდა. ძმაო, ღმერთმა გიშველოს! კაცი რომ ერთხელ მოკვდება და მერე ისევ გაცოცხლდება, ეხლა მე ისე ვარ, მადლობელი ვარ შენი, მადლობელიო, მითხრა და გაჩუმდა—ჩვენ გაჩუმდი მეც. გული ათას ფიქრში გაბმული, უხილავად საუბრობდა და ენაც იმას დაემორჩილა. ამიტომ ლაპარაკი აღარ გვიხერხდებოდა, სიტყვა ნაწყვეტ-ნაწყვეტი გამოდიოდა. მაგრამ როდესაც ფიქრი ერთ საგანზე მოიკრიბა და სალაპარაკო ვუშოვე, მაშინ უნდა გენახა, რა ძალა მოეცა იმის მეტყველებას, რა თავისუფლად და რა ლამაზი კილოთი გადმომცა თავისი ნაფიქრი და ნაგრძნობი; მძივივით აწყობდა სიტყვებს, არსად შებრკოლება, არსად მძიმე გამოსათქმელი ფრაზები, როგორც გვჩვევია დღეს ჩვენა. როგორც წყარო მოჩუხჩუხებდეს, ისე მოდიოდა გამოუცნობელ სიღრმიდან ნაკადული ენა-მეტყველებისა და შიგ იერთებდა გმინვას, და ცრემლს ქართველ ხალხისაგან დაღვრილს იმ დღიდან აქამომდე. მან განმიახლა წარსული სატანჯველი იმ შავბნელ დროებისა, როდესაც მტერნ აიშალნენ სიხრმავითა

ბისა, რომელსაც აზრადა აქვს მმართოს იაფ-ფასიანი წარმოდგენები, ჯერ ჯერობით ვერა სრულდება, რადგან მუდმივი თეატრი არ არსებობს და ხელის მომწერლებიც ძალიან ნაკლებადა ჰყავს. შემოდგომის აქეთია, რომ ძლივს მოახერხეს ერთი წარმოდგენა. ან-კი რა ნაირად უნდა მოაწყონ წარმოდგენები, როდესაც შეგნებულ ადამიანთა შორის თანაგრძნობა არა სჩანს და არც ერთს სურვილიც არა აქვს რითიმე ხელი შეუწყოს ამგვარ საქმეებს, თორემ განა არ შეუძლიანთ სურამის მკვიდრთ, ისეთ სასარგებლო დაწესებულებას, როგორიც თეატრია, ადგილი უსასყიდლოდ დაუთმონ. რამდენჯერმე მიუმართავს დრამატიულ საზოგადოებას მოწოდებით, მაგრამ არაფერი გამოსულა.

ამ წარმოდგენისთვის თუმცა ბ. ნოდიამ უსასყიდლოდ დაუთმო თავისი თეატრის მინაგვარი შენობა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია, მაგრამ განა ზამთარში ამ გვარ ფიცრულ სადგომში შეიძლება წარმოდგენების მმართვა! ძალიან სასურველია, რომ სურამის საზოგადოებამ ამ გვარ სასარგებლო საქმეებს ყურადღება მიაქციოს და დაუთმოს ადგილი.

**გ. მოუსველნარიძე.**

# ევდოშვილის გადასახლება

„ხალხში" დაბეჭდილია: როგორც გაზეთებიდან შეიტყობდა საზოგადოება, ჩვენი პოეტი ევდოშვილი, რომელიც ხუთი თვეა თითქმის, რაც მეტეხის ციხეში ზის, ადმინისტრატიულად იგზავნება ციმბირად, ხუთის წლის ვადით. ციხეში იგი დაავადმყოფებულა და ექიმს ციხის სავადმყოფოში გადაუყვანია. ჯერ ისედაც ხელ-მოკლე მისმა ოჯახმა, მის დატუსაღების შემდეგ, ყოველივე სახსარი ცხოვრებისა დაჰკარგა.

მივმართავთ ყველას, ვინც აფასებს ევდოშვილის სამწერლო მოღვაწეობას, ამ უკიდურეს გაჭირვების დროს დახმარება გაუწიონ იმის სახლობას. **ნ. კურდღელაშვილი.**

P. S. ადგილობრივ გაზეთებს ვთხოვ გადაბეჭდონ ეს წერილი.

# უცხოეთი

**ირლანდიელების მეთაურები.**

ინგლისის ეხლანდელ პარლამენტის ბედი ირლანდიელ დეპუტატების ხელშია. ირლანდიელებს თამამად შეუძლიანთ ხელად დასცენ ასკვიტის სამინისტრო და მის მაგივრად გააბატონონ უნიონისტების სამინისტრო. ამიტომ ურიგო არ იქნება გავიცნოთ მათი მეთაურები: ჯონ რედმონდი, ოკონორი, ჯონ დილონი, სკიფტ მაკ-ნეილინი, ვილიამ ობრაიენი, ტიმოთე ჰილი, მით უმეტეს რომ დეპეშებში და გაზეთებში ამას იქით ხშირად შეგვხვდება მათი გვარები.

წინანდელ პარლამენტში ირლანდიის ნაციონალისტური პარტია ერთიანი და მთლიანი იყო. წლევანდელ არჩევნების დროს პარტიას ჩამოშორდა პატარა ჯგუფი „დამოუკიდებელ ნაციონალისტებისა"— სულ 11 დეპუტატი,—რომლებიც წინააღმდეგნი არიან ბიუჯეტისა და რომლებსაც მეთაურობენ ვილიამ ობრაიენი და ტიმოთე ჰილი.

1881 წელს ირლანდიელების მაშინდელმა განთქმულმა მეთაურმა პარნელმა დაარსა ორი გაზეთი საადგილ-მამულო ლიგის პროგრამის დასაცველად. ამ გაზეთებმა დიდი როლი შეასრულეს პარნელის დროის მოძრაობის ისტორიაში. მათ რედაქტორად პარნელმა მიიწვია 28 წლის ირლანდიელი ჟურნალისტი ვილიამ ობრაიენი, რომელზედაც ზედ გამოჰრილია ინგლისური ანდაზა, რომ ირლანდიელი დაბადებულია ჟურნალისტად, ორატორად და მეამბოხედაო. ირლანდიელები განთქმულნი არიან აგრეთვე ოხუნჯობით, მაგრამ ეს შნო-კი სრულიად აკლია ობრაიენს. იგი მრისხანე, დაღვრემილი და მუდამ შუბლშეკრულია. როგორც ჩანს კათოლიკეთა სემინარიამ, რომელშიაც აღიზარდა ობრაიენი, სამუდამოდ დაასვა მას თავისი დაღი. ვილიამ ობრაიენი ყველგან გამცემლებსა და მოღალატეებს ჰხედავს. მის აზრით, ყოველი ინგლისელი, გინდ კონსერვატორი იყოს, გინდ რადიკალი—ეს სულ ერთია, მხოლოდ ირლანდიის დაჩაგვრასა ჰფიქრობს. ამ ჟამად ობრაიენი საკუთარ პარტიაში, თითონ ირლანდიელებში დაეძებს და სდევნის „ღალატს". ობრაიენის წერილების კილო მოგვაგონებს საშუალო საუკუნოების ბერების კილოს, რომლებიც ინკვიზიციის წინ ჰგმობუნენ სარწმუნოების „მოღალატეებს". მისი კილო მრისხანეა, სიძულვილით სავსე, დაუნდობელი და უმოწყალო. მკაცრ წერილებისთვის ობრაიენი ცხრაჯერ იყო მიცემული სამართალში. 1886 წელს პარნელმა გააფრთხილა მთავრობა, რომ ირლანდიაში დიდი არეულობა დაიწყება, თუ პარლამენტი უარჰყოფს საადგილ-მამულო კანონ-პროექტსაო. მისი წინასწარმეტყველება ასრულდა: 1886 წლის დეკემბრიდან მოქმედება დაიწყო „ბრძოლის პლანმა" და მასთან ერთად დაიწყო საადგილ-მამულო ომი. „ბრძოლის პლანი" იმაში მდგომარეობდა, რომ ირლანდიის საადგილ-მამულო ლიგამ დანიშნა მიწის სამართლიანი საიჯარო ფასი, რომელიც გლეხებს უნდა გადაეხადნათ მემამულეებისთვის. თუ ვინიცობაა ესენი არ დაჰყაბულდებოდნენ, მაშინ ეს სამართლიანი ფასი გლეხებს უნდა შეეტანათ ლიგის კასაში. ამ „ბრძოლის პლანის" ავტორი, როგორც პარნელის ბიოგრაფი ირწმუნება, ყოფილა ვილიამ ობრაიენი. უკიდურეს სიძულვილით აღსავსე „პლანი" ნამდვილად შეეფერება ობრაიენის მრისხანე ხასიათს. ობრაიენი მაინც და მაინც ვერ დაიკვეხებს ერთგულებას ამხანაგებისა და თანამებრძოლთადმი. აი მაგალითად როგორ მოექცა იგი განთქმულ პარნელს. 1890 წლის 15 ნოემბერს დაიწყო პარნელის საქმის გარჩევა: ირლანდიელების მეთაურს აბრალებდნენ მრუშობას. ორი დღის შემდეგ სასამართლომ გაამტყუნა პარნელი და ამ განაჩენით მეტად გაახარა პარნელის ურიცხვი მტრები. ირლანდიელ პარტიის ყველა გამოჩენილი მოღვაწე ალთქმას სდებდნენ პარნელის ერთგულები დავრჩებითო. ვილიამ ობრაიენი იმ დროს ამერიკაში იმყოფებოდა „ბრძოლის პლანის" მთავრობის მიერ განადგურების შემდეგ, იგი გაიქცა სწორედ იმ წამს, რა წამსაც ბრძანება გამოიცა მის დატუსაღებაზე. ამერიკიდან ობრაიენმა გამოგზავნა დეპეშა, რომელშიაც სწერდა: „მედგრად დავუჭერ მხარს ირლანდიის დიდებულ წინამძღოლს, რომელმაც მონობიდან და სასოწარკვეთილებიდან გამოიყვანა და განთავისუფლების კარებამდე მიიყვანა თავისი ერი". ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, 26 ნოემბერს, სასტიკმა მქადაგებელმა, რომელიც ყველგან ღალატსა ჰხედავს, თითონ უღალატა თავის წინამძღოლს. ობრაიენი მოგვითხრობს, რომ ვილიამ ობრაიენის გაქცევას ხელი შეუწყო ერთმა ირლანდიელმა რევოლიუციონერმა, რომელმაც თავისი საკუთარი იახტა დაუთმო. როდესაც რევოლიუციონერმა გაიგო შემდეგში, რომ მის მიერ დახსნილმა ობრაიენმა უღალატა დიდებულ პარნელსაო, ძლიერ ინანა, რომ იახტა არ ჩაძირა ზღვაშიო.

ვილიამ ობრაიენი მერე დაბრუნდა ინგლისში; მთავრობამ დაატუსაღა იგი და 6 თვით საპყრობილეში ჩასვა. საპყრობილეში მან დაწერა თავისი საუკეთესო ნაწარმოები, თავისი ერთად ერთი რომანი. პარნელის გარდაცვალების შემდეგ ირლანდიელი ნაციონალისტები ერთმანეთს ეომებოდნენ და ერთმანეთს ღალატს სწამებდნენ. ვილიამ ობრაიენი იმ დროს მეტად კარგად გრძნობდა თავს და მოღალატეების აღმოსაჩენად თავისი საკუთარი გაზეთიც-კი დაარსა სახელად „აირიშ პოპლ"-ი („ირლანდიის ერი"). 1900 წელს ირლანდიის პარტია ისევ შეერთდა. ამერიკაში გადასახლებულ ირლანდიელების ძალდატანებით (ამერიკაში 15 მილიონი ირლანდიელი ცხოვრობს) შინაგანი ბრძოლა და შუღლი მოისპო. ვილიამ ობრაიენიც რამდენიმე წლით გაჩუმდა. ბიუჯეტის გამო ატეხილმა ბრძოლამ ხელახლად გამოიყვანა იგი სცენაზე. ვილიამ ობრაიენი გახდა მეთაური იმ ირლანდიელებისა, რომლებიც მეტად საზარალოდ სთვლიან ირლანდიისთვის გადასახადს სპირტზე. ობრაიენმა საკუთარი პატარა პარტია გაიჩინა და მედგრად დაუწყო დევნა ირლანდიელ „მოღალატეებს". მისი წერილები რედმონდის წინააღმდეგ ისეთის მძულვარებითაა გაჟღენთილი, სიტყვები: „ღალატი", „გამცემლობა", „სამშობლოს დამღუპველები" ისე ხშირად აქვს ნახმარები, რომ კაცი იფიქრებს ალბად რედმონდს დიდი პოლიტიკური ცოდვა ჩაუდენიაო. ნამდვილად-კი ირლანდიელები ამ ჟამად არავის არ უკქერიან ისეთის სრულის ნდობით, როგორც ჯონ რედმონდს.

# გაზ. „ახ. სხივის" მეპრესეს

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ტყუილის მთქმელს ტყუილის კარამდეო".

რომ ჩემი შენიშვნა გაზ. „ნოვაია რეჩში" არ იამებოდა გაზ. „ახ. სხივის" მეპრესეს იმ უსაფუძვლო ლანძღვისა და უტაქტობის გამო, რაიც იმან ჩაიდინა „ნოვ. რეჩ"-ის ყველა თანამშრომლების მიმართ,—მე ეს წინადვე ვიცოდი, მაგრამ თუ აღნიშნული მეპრესე დაიწყებდა დემაგოგობას, და რომ თავი დაეხსნა თავისს „შებანძღულ" ყოფისაგან, მიმართავდა უდირსს ფანდს და ზედმეტის ცილისწამებით გააღრმავებდა თავის მოუფიქრებელს საქციელს,—ამას იმდენად აღარ მოველოდით. აგრეთვე აშკარად შეატყობთ, რომ იმას თვით საკამათო საგანი იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც ის, თუ ვისთან კამათობს. ნუ თუ, ბ-ნო მეპრესე, ვინც კი **ნამდვილი და ნაფიცი მწერალი არ არის** იმას, თუნდა როგორც მოქალაქეს, ნება არა აქვს, ამა თუ იმა საზოგადო კითხვაზედ თვისი აზრი, მსჯელობა იქონიოს? მიიღეთ მოწყალება და დაგვრთეთ ამისი ნება.

დიახ, მე სამარცხვინოდ არა ვსთვლი, თუ ჩემი წერილები „ნიშადურშიაც" იბეჭდებოდა, და, თქვენდა სამწუხაროდ, რაც უნდა ხელები აფათუროთ, ვერც იმ წერილებში, ვერც კერძოდ ნალაპარაკევში და ვერც ჩემს მოქმედებაში ვერ იპოვნით ადამიანის ღირსების შემბღალავ - დამამცირებელ რამე საქციელს: მაბეზღებს რა მეპრესე თავის მკითხველებთან, რომ „ნიშადურში" ვთანამშრომლობდი, „ერთ შიმართულებას არა ვწყალობ", „აფლაბრულად ვილანძღები", „ტყუილის ლაპარაკი მიყვარს" და სხ. (ყველა ეს მიუდგომელ მკითხველისთვის მიგვინდვია),—მეკითხება: „სად, როდის ვსთქვით ჩვენ რამე მთელი რედაქციის („Нов. рѣч."-ის) შემადგენლობის საფაქიზის წინააღმდეგო? ვინც კითხვა იცის, ამას ჩვენ ნაწერში ვერ ნახავს, მაგრამ გ. ა—ციხელი ხომ ხაზი შუა და შუა (?) კითხულობს და ასეთი კაცი გალიუცინაციით იყოს შეპყრობილი და ეჩვენებოდეს ის, რაც არ არის, ვის რად უნდა გაუკვირდესო".

ამ გვარ კაცთან კამათი ხომ წყლის ნაყვა იქნება. ჩვენ აქ მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით ადგილს მეპრესეს ნათქვამიდან და დეე, მკითხველმა თვითვე დასდოს მსჯავრი. უთანხმება რა „ახ. სხივის" მეპრესე გაზ. „Н. р."-ის თანამშრომელს ბ-ნ ტ—ძის იმ ადგილს, რომ ტფილისის ჟურნალისტები უნდა გაიწმინდონ იმ ტალახიდგან, რომელიც მათ მიუცხოთ სხვა და სხვა მეგაზეთე „პროხოდიმცებისაგანაო", ბ-ნი მეპრესე თავის მხრით დასძენს: „ჩვენი აზრითაც ეს უნდა მიღებული იყოს და მაშინ, ეჭვი არაა იმ **ტალახის მორევში**, რომელიც მოსაწმენდათ აქვსთ ტფ. ჟურნალისტებს, თუ [illegible] ვლად არა, მეორედ მაინც გამოჩნდება **„ნოვაია რეჩის" იალქნიანი გემი**, რომელზედაც კაპიტნად უთუოდ თვით „Н. р." რედაქტორი იქნებაო"... და სხ. (იხ. გაზ. „ახალი სხივი" № 3).

ეხლა შევეკითხოთ ბ-ნ მეპრესეს, როგორ უნდა გაეგო თუნდა ჩვეულებრივ მკითხველს ზემოთ ხაზ გასმული მისი წინადადება: ტალახის მორევში ყოფილან ბ-ნნი გოთუა, ტ—ძე, თუ მთლად „ნოვაია რეჩის" იალქნიანი გემი „მატროსებითაც და მგზავრებითაც?!"... მაგრამ გაგიკვირდებათ კატა ზურგზედ დაცემულიყოს? თქვენ ნახავთ, თუ ხვალ ეს მეპრესე უმაღ უღიერის კილო-კავებით არ ეცადოს მკითხველის გაბრუებას და კიდევ სხვა რამ გვარი მომაკვდინებელი ცოდვა არ წამოგვადოს კისერზედ! „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო"...

**გ. ა—ციხელი.**

და გარემოგვადგნენ ძლიერი კოალიციით, გაწიწკნეს, გააველურეს ქვეყანა, დაეცა საქართველო და უფსკრულზე მიყვანილმა შური ლო იძია იმით, რომ გაჰყიდა თავის-უფ ლება და იმ ორმოში, რომელიც ჩვენ გაგვითხარეს, მალე თითონაც შთაცვივდნენ. რა იქნებოდა, რომ თითონაც მოესვენათ და ჩვენც მოვესვენეთ, მოეცათ დროება ქართველთა ცხოვრების თავისუფალ ევოლიუციისა? თუ ძალად დამუნჯებულ ხალხში ქართული ენა ასეთი ძლიერი და კილოიანი გამოჩანს, მაშინ ხომ მკვეთრი და დაუშრეტელი იქნებოდა გონებრივ საგანძით, რომ თავისუფლად თავის კანონებში გაზრდილიყო და განვითარებულიყო!

აწ მე იმის ნათქვამს გაგიმეორებ, თუმცა ოდენ მკრთალი მინაგვარები იქნება იმისა, რაც მითხრა და რა კილოთიც მიამბო. რასაკვირველია, პირველი ჩემი საკითხავი იყო, იგივე ჩვენი უდიდესი სატკივარი. ის იმოდენა ხალხი რომ აიშალა და წამოვიდა, რას გამოექცა და რა მიიღო, რა გაცვალა რაზედა? როგორი ყოფნა გვაქვსო. აქაური მიწა ისეთი კი ნუ გგონია, როგორც საქართველოშია; ზოგან სიმინდი არც კი მოდის და ჩვენი კაცი ხომ უსიმინდოთ ვერ გასძლებს. ზოგთ ისეთი მწირი ადგილები შეჰხვდათ, რომ იმათ კეთებას უნდებიან. არის კაი ადგილებიც, აქაც გარჩევაა, მაგრამ იმ ადგილებზე თურქები არ გვაყენებენ. თურქი კარგი არ არის და ჩვენთვის კარგი არ უნდა, ავი თვალით გვიყურებენ, ყველაფერი შურთ. მიწის მოსავალი რომ არ ყოფნით, ბევრი გაჭირვებული აქეთ-იქით მიდის საშოვნელად, ადგილზე დგება, მაგრამ ადგილის შოვნაც უძნელდება. ქართველებმა ერთმანეთის წახმარება არ ვიცით. რაშიდ ეფენდმა კიდევ ის არ იცოდა, რანაირად გამაკვირვებდა იგი ამ სიტყვებით, იმიტომ რომ მენიშნა: მანდ არ ყოფილა, მაგრამ ის მითხრა, რაც მანდ არის ნამდვილად; და ის ნიშნობლავი თვისება ყველგან გამოგვჩენია, ყოველისფრით ერთ ბედში ვართ. ობლად არის დარჩენილი ჩვენი ხალხი; მწყემსნი და წინამძღვარნი მისნი განიფანტნენ და შთაბნიეს მისი მონაგები წუთიერ სიამოვნებაში, ჩალიეს შიგ თავიანთი ძალაც. ვისი შრომითაც აღზრდილან მასვე უკუირიდებენ, არ უვლიან, სჭრიან ხესა, რომელზედაც თითონ სხედან. რა გვესმის, მაგალითად, დღეს მანდედან, როგორ დახეულ ქაღალდის ნაფლეთებისავით ფანტავენ მამულს, ხალხის ოფლითა და სისხლით გაპოხიერებულს. თვით იმათ მამაპათა ძვლების სავანესა და ასე თავიანთ მოქმედებით ამართლებენ, რაც იმათზე ავი თქმულა და დაწერილა. ჩავყვეთ სიტყვას: სხვა ვინმე რომ დიდი კაცი გახდება, სულ იმის ცდაშია, რომ თავისთან თავისი კაცი დააყენოს, ან სხვაგან უშოვნოს ადგილი და ასე ეხმარება გვარს. ჩვენებმა კი ეგრე არ იციან, ჩვენი რო დიდი ვინმე გახდება, მერე ჩვენ აღარ ვაგონდებით, ოღონდ თითონ იყოს კარგად და ჩვენი დარდი აღარა აქვს. ერთხელ ერთი გაჭირვებული კაცი ჩამოვიდა ჩვენი და X ფაშასთან წავიყვანე, ბარათი უნდა გამომერთმია ერთ დიდ კაცთან, რომ ეგებ ადგილი რამ მოეცა. კარგი, ხვალ მოდიო. ვიცოდი, რომ მეორე დღეს დამემალებოდა, მეტყოდნენ, სხვაგან წავიდაო და ასე გაბედვით ვუთხარი: ხვალ მე არ მეცალება, ვერ მოვალ და ან თქვენ არ იქნებით სახლში და თუ შეწევნა გწადიანთ, ეხლა მომეცით ბარათი. უარი მითხრა, ბარათი არ დამიწერაო, დააბოლოვა რაშიდ ეფენდიმ იმ კილოთი და იმნაირ თავის დაჭერით, თითქო იმ ფაშის მაგივრად ამას შერცხვაო. შენი მეგობარი **ფარხმან** სტამბოლი. **მაძღვარი.**

(შემდეგი იქნება)


ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ამით აუწყებს, რომ მის სადგომში 20 თებერვალს, შუადღის 12 საათისთვის დანიშნულია [illegible] **ვაჭრობა**, რომელზედაც [illegible] გაიცემა ქალაქის [illegible] ნერსესიან [illegible] მამულის [illegible] ში, იარმუკაში.

პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ქალაქის გამგეობის სადგომში 10-დან 2 საათამდე. (3—6—1)

ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 7 მარტს, შუადღის 12 საათისთვის, სახალხო სახლის სადგომში, 1906 წლის 15 ნოემბრის კანონის თანახმად, დანიშნულია კრება ქალაქ ტფილისის სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეებისა (ნოქრებისა). კრებამ უნდა აირჩიოს 6 წევრი იმ შერეულ კომისიისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ხსენებულ სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახები სავალდებულო დადგენილებანი.

კრებაში მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს სრულ წლოვან მოსამსახურეებს (ნოქრებს, თითოს ყველა დაწესებულებიდან). არჩეულთ, როგორც წარმომადგენელთ, ამ დაწესებულების სრულ-წლოვან მოსამსახურეთა მიერ.

კრებას წევრებმა სადგომში შესვლისას უნდა წარადგინონ მოწმობა, ხელ-მოწერილი ამომრჩეველთა მიერ კრებაში მონაწილეობა შეუძლიანთ მხოლოდ იმ დაწესებულებათა და სავაჭროების მოსამსახურეებს (ნოქრებს), რომელთაც 1909 წლის სამრეწველო გადასახადი გაეწერათ. (3—6—1)

# ზედა იუბკა!

2 მან. 75 კ. ვგზავნი ფოსტით, ფას-დადებით, დამზადებულს ქალის შალის ზედა იუბკას, ტრიკოსას, მკვიდრს, ყოველ გვარ მუქ-ფერისას, შეკერილს და დამზადებულს უკანასკნელ მოდაზე.

ახეთივე იუბკა წმინდა შალის შევიოტისა —3 მ. 25 კ. გაგზავნა 35 კ. ვინც 3 იუბკას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს ქარხანა გადიხდის.

ვგზავნი აგრეთვე ნაჭრებს ქალის ხალათისათვის, საზღვარ-გარედ დამზადებულს აბრეშუმის დანაკერებით: წინ, ხელებზე და საყელოზე. 3 ნაჭერი 3 ხალათისთვის 4 მ. 50 კ. ვინც ამას იუბკებთან ერთად დაიკვეთს—მხოლოდ 3 მ. 75 კ. (ზომა იუბკებისა სანტიმეტრებით უნდა აღინიშნოს, ან ზომა უნდა გამოიგზავნოს). საშიშო არაფერია: ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უკან დაუბრუნებთ.

ადრესი: Лодзь, 1-ое отд. фирма М. А. Бабушкинъ. Д.

(Метцль и К-о. N 11360). (3—6.—1)

# ყველას შეუძლიან უზარალოდ

დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:

«ინგლისური ტრიკო»—მეტად მკვიდრი, პრაქტ. და კოხტა შალის მატერია, რბილი შალის ქსოვილი მოხდენილ და დარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის. შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი, ძიხავის ფერი, ზეთის ხილის ფერი, ენდროს ფერი, სადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს შესანიშნავ და ლამაზ სახეს. ხეზონის უკანასკნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ. «პრიმას» სორტისა—8 მ. 40 კ., „ექსტრას" სორტისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. **სულ ახალი რამ**: მატერია «ბოსფორი» 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ. და 50 კ., „ექსტრა"—14 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს,

ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი" ყოველ-გვარ ფერისა, სადა ან ზოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტიკული და კოხტა საქალო კასტიუმებისთვის; ფასი 8 არშინისა (ალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ, 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.

«ტიროლის ტილო»—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი სამოსლებისათვის, საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 20 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5. და 6 მ. 75 კ.

უზარალოდ ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ, ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფას დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., ხოლო ციმბირში—მეტი წონისა. შეკვეთილ საქონელს უბეოთაც ვგზავნით.

ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстяной мануфактуры. Г. Лодзь, N 18.

კარგ საქონლისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გამოფენაზე. (5—ფ.—2)

| 2 Руб. въ годъ. | 1 Руб. на 1/2 г. | ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1910 г. (ГОДЪ ИЗДАНІЯ III-й). | 25 КОП. отдѣльн. книжка. во всѣхъ кн. маг. съ пересылкой 35 к. |
|---|---|---|---|

НОВЫЙ

# ЖУРНАЛЪ ДЛЯ ВСѢХЪ

Преслѣдуя главнымъ образомъ культурныя задачи, журналъ широко ставитъ отдѣлы: 1) литературный, 2) критическій, 3) художественный, 4) общественый и 5) научно-популярный.

**ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:**

**Отдѣлъ художественной литературы**—Леонидъ Андреевъ, М. Арцыбашевъ, Д. Айзманъ, Николай Архиповъ, И. Бунинъ, А. Блокъ, В. Башкинъ, А. Боане, В. Вересаевъ, А. Вербицкая, С. Гусевъ-Оренбургскій, О. Дымовъ, Борисъ Зайцевъ, А. Купринъ, А. Каменскій, Карменъ, В. Муйжель, Н. Олигеръ, И. Потапенко, А. Рославлевъ, А. Ремизовъ, А. Серафимовичъ, Скиталецъ, С. Сергѣевъ-Ценскій, А. Свирскій, гр. Ал. Н. Толстой, Н. Тимковскій, А. Өедоровъ, Танъ, Е. Чириковъ, Г. Чулковъ, Дм. Цензоръ, И. Щегловъ, Т. Щепкина-Куперникъ, С. Юшкевичъ и др.

**Отдѣлъ критическій**—Ю. Айхенвалдъ, Н. Абрамовичъ, Ѳ. Батющковъ, Л. Галичъ, С. Венгеровъ, А. Измайловъ, проф. Н. Котляревскій, проф. В. Сперанскій, проф. Д. Овсянико-Куликовскій, К. Чуковскій.

**Отдѣлы обществ.—политич. и научно—популярн.**—Б. Агафоновъ, П. Берлинъ, В. Брусянинъ, пр.-доц. П. Головачевъ, А. Дживилеговъ, проф. Н. Карѣевъ, Д. Кузминъ-Караваевъ, Н. Морозовъ, М. Лемке, проф. В. Святловскій, проф. Е. Тарле, проф. М. Туганъ-Барановскій, проф. И. Озеровъ, В. Филатовъ, М. Энгельгардтъ и др.

**Отдѣлъ исскуствъ**—А. Бенуа, И. Гинзбургъ, И. Лазаревскій, С. Маковскій, В. Меерхольдъ, И. Репинъ, Н. Рерихъ, Н. Эфросъ и др.

**Журалъ выходитъ ежемѣсячно, въ объемѣ до 9-ти обычн. печатн. листовъ (130—140 ст.) съ иллюстраціями въ текстѣ.**

**Годовые подписчики получаютъ безплатную премію Художественно исполненный альбомъ «Галлерея современныхъ писателей».**

Подписная плата на годъ—2 р., 1/2 года—1 р. Заграницу—3 р. Цѣна отдѣльн. книжки въ мегаз. 25 к. Пробный №—за пять 7 коп. марокъ.

Подписная плата марками не принимается.

Подписка принимается въ редакціи и во всѣхъ книжныхъ магазинахъ, въ послѣднемъ случаѣ приплачивается 15 коп. въ пользу магазиновъ: Адресъ для переводовъ: Петербургъ, Свѣчной 16 „Нов. Журналу для всѣхъ". (3—6.—3)


სტამბა „სინათლე" რუსთ. ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.